მეთევან. (კარს გააღებს) აბა, მაშ მოდი?...

ლევან. ქალაქიდგან რაგორღა გავიდეთ?

მეთევან. შენ სომ ბანათი გაქვს?..

ლევან. მე ვა მაქვს, მაგრამ შენა? ..

მეთევან. მეცა მაქვს...

ლევან. (შეპართალი; აედელზედ მიუედებული) შენცა გაქვს?

მეთევან. დიას, მაქვს!..

ლევან. მართალს ამბობ?

მეთევან. გეუბნები, მაქვს შეთქი... წავიდეთ!..

ლევან. საიდგან გიშოვნია?

მეთევან. შაჭმა მომცა!..

ლევან. ამ დილით?..

მეთევან. ჭო!..

ლევან. (შეშინებული უკან იწევს) აჭ! ღმერთო ჩემო!.. ეს რა მომდის თავში?..

მეთევან. რა არის?.. რა დაგეძინათ?..

ლევან. ის დედა-კაცი... შაჭთან... ამ დილით... ის დედა-კაცი წუსეღის იმასთან .. მაშ ეს უნდა იყოს...

მეთევან. ანა...

ლევან. შენა ხარ!.. შენა!... შენ დაგვღუბე, შენა ყოფიღსარ, შეჩვენებულა!.. აბა გაჭბედე უარის თქმა!..

მეთევან. ლეკან!

ლევან. დამესენ! სელი არ მახლო!..

მეთევან. შემიბრალე!

ლევან. ოჰ! ღმერთო დიდებულა!.. მე სხვაგან დავექებდი...

და აქა ყოფილას!.. მაშ სსხვ ვინ ექნებოდა თუ არ ესა?..
 ძეთევან. ლევან!.. ნუ ძწუეკლი!.. სსხვამ კიდეკ, მაგრამ შენ ნუ..
 ლევან. ოჰ! შე შეწვერებულა!.. დაწუეკლილა!.. მამწამლე-
 ლა!.. სულ-მდაბალა!..

ძეთევან. შენ არ იცი ლევან, რა უფუაშია ვიყავი!.. უკლავ
 ფერი გაიგო!.. უნდადა მოეკალფა, მითხრა, უთუოდ
 მოკვლავა!.. მე თითონაც არ ვტი რას ჩავდიოდა!.. ში-
 შით გონება დამებნა!.. ლევან! გუეიცები რომ ჭკუასუდ
 არ ვიყავი!.. შენ მაინც არა გას უფლება დამწუეკლა!..
 ლევან. შენს სისამაგლეში მე მაინც ნუ გამსკვე!.. მე არ ვუ-
 რეკავარ!..

ძეთევან. (მუხლებში ჩაუფარდება) არა, არა, შენ არ ურეკინარ!..
 მარტო მე ვარ დამნაშავე!.. ჩემო ლევან!.. შენ დასას-
 სნელად მოვიქეცი ესა!.. შენის სიყვარულის გულისა-
 თვის, შენთვის!..

ლევან. შენ კიდეკ სიყვარულსუდ ღაზარავებ?.. დასწუეკლას
 დმერთმე შენი სიყვარული, რომელმაც მე მეკობრის მო-
 ღადატედ გამსადა!.. დასწუეკლას დმერთმა შენი სიყვა-
 რული, რომელმაც შენს ქმარს თავი მოაკვლეკინა!.. შენი
 სიყვარული, რომელმაც აწვეკინებს სამშობლო გმირთა და
 ჭლებავს სამშობლოსა!.. დასწუეკლას იგი, გრმარბა ჯო-
 ჳოსეთისა და კაცის-კვლისა!..

ძეთევან. ლევან!.. რომ ამკლავ მაგითი!..

ლევან. არა, ვერ არა!..

ძეთევან. რა გინდა ჭქნა, შე უბედურო!..

ლევან. (მოათრევს ფანჯარასთან) აქ მოდი!.. აქ!.. აი დასტები
 შენის საქმითა!

ძეთევან. შემიბრალე!.. (ფანჯარა განათლდება ცეცხლით; ხალხში
 ძრწუნვის ხმა).

ლევან. უფურკო, მტარვალა! სედავ, როგორ იწვიან!..

მეთევან. შემიბრალე!.. ლევან!.. უმადურა!.. უმადურა!..

ლევან. შეიჩვიე ცაცხლსა... ჯოჯოხეთისა (აღარ შეგე მინ-
დაბა!..

მეთევან. დამნაშავე ვარ... ლევან!... მაგრამ შენთან ვი ანა!..

ლევან. აი უფრო დაუგდე!.. დამინახეს!.. გაიგონე, რას ამ-
ბობენ!... (კულისების იქით ისმის ხმა: «ლევან! მღალაღატე!
ბიუდა!») გესმის?..

მეთევან. ას! ღმერთო ჩემო!..

ლევან. სედავ, სვიმონის სულს, რომელიც მიძახის: «ღათქმა-
არ დაგავოწმდე!»

მეთევან. (შეშინებული უკან დაიწევს) ანა... ანა...

ლევან. (მიღის ქუთუხთან) «ვინც უნდა იყოს დამნაშავე, დაჭკა,
ლევან — მით სამშობლოს იცავ; გული გაუგებ — მით სა-
ქართველს ისხსი!..»

მეთევან. ლევან!.. შენ უნდა მომკლა?.. შენა?..

ლევან. (ხანჯალს ამოიღებს) ფიცი მიმიცია!..

მეთევან. (გიჟივით იღერებს) შენის სელით ანა... არ შეიძლე-
ბა!.. შენის სელით როგორ მოვკვდე!.. მე შენ სი-
ვდილს გადაგარჩინე?.. ეგ საშინელება იქნება! დამწუკ-
ლე!.. გამსრისე!.. ყველას ავიტან... მაგრამ ნუ მომ-
კლავ!.. მეშინიან!.. ლევან!.. ჩემო საყვარელო ლევან!..
ჩემო ღმერთო, შემიბრალე!.. შენ ნუ!..

ლევან. (აღტაცებული) ფიცი მიმიცია!..

მეთევან. ანა, არ მინდა... თავი დამანებე!..

ლევან. ფიცი მიმიცია... ფიცი მიმიცია!... (დაჭკრავს გულში
ხანჯალს),

მეთევან. ას!.. (დაეცემა. ლევან ხანჯალს გადაადგებს).

ქეთევან. ესლა ჭი მოკვდი!... რომ იცოდე რა რიგ მიყვარ-
დი!... მიყვარდი...

ლევან. (დახეული) მოკვდა?.. მე!.. მე!...

ქეთევან. მოდი ჩემთან!.. ღევან!.. მოდი!...

ლევან. (დაეცემა მუხლებზედ ქეთევანის გვერდით მომაკვდავთან, ჰკოც-
ნის და ქვითინებს). მოკვდა!... მოგუწვი... ეს რა ვქენ, მე
უბედურმა?... მოკვდა!... ქეთევან... ჩემო საყვარელო, ქე-
თევან!.. ჩემო ღმერთო...

ქეთევან. მოდი... მოდი...

ლევან. აი, მოიცა, ესლაგ მოგეწვი!... (მივა ფანჯარასთან, გა-
აღებს და ზედ შედგება) ძმანო!.. მამიცადეთ!... თქვენთან
მოკვდივარ!.. მე გასწავლით, როგორც უნდა სიკვდილი
სამშობლოსათვის!... (გადახტება, ქეთევან წამოიწევს; ისმის
ნაღარას ხმა; ქეთევან დაიყვირებს და დაეცემა მკვდარი).

ფარდა.

დასასრული.

10 ივლისს 1881 წ.

ვინ მოიგონა ჩართული ანბანი? *)

სომხისა მწერალნი ქარიუნ და მოსე სორენელი, რომელნიც სცხოვრებდენ მესოეთე საუკუნეში და იყვნენ თანამედროენი მესროფისა, სომხურ ანბანის მომგონებელის ანუ გამახსლებელისა, ამტკიცებენ რომ ჩართული ანბანიც მესროფისა მოიგონაო. ქარიუნი აი რას ამბობს ამხედ მესროფის ცხოვრების აღწერაში: მესროფისა რომელსაც სომხური ანბანი მოიგონა, გაემგზავრა ივერთა ქვეყანაში (საქართველოში); გამოცხადა იმ ქვეყნის მეფეს ბაკურს და ეპისკოპოსს მოსეს, გააჩნო თავისი მოგონილი ანბანი და მათის თანხმობით მოიგონა აგრეთვე ანბანი ივერთალებისათვის. შემდეგ ამისა უბძანა მეფემ ერთს ივერთელთა ენის მცოდნე კაცს, სახელად ჯახისს, რათა შეეკრიბა ემაწვილნი სხვა-და-სხვა თემებიდამ, რომელნიც ერთმანერთში განსხვავდებოდენ ენით და ესწავლებინა მათთვის ერთი ენა, რომელსედაც შემდეგ ივერთელნი ადიდებდენ დმერთსა**). მოსე სორენელი თავის სომხეთის ისტორიაში ამბობს: «მესროფი წავიდა ივერთა ქვეყანაში და იქაც შეწევნითა ლგთისათა დაათუძნა წერა-კითხვა ჯახისს დახმარებით».

მ. შ. 1918 წელს
 ივერთისა და ანბანის
 შესახებ
 ივერთისა და ანბანის
 შესახებ
 ივერთისა და ანბანის
 შესახებ

*) ეს წერილი წაკითხულ იქმნა ავტორისაგან მესოეთე არხეოლოგიურ კრებაში.

***) ეს ცნობა და მისი თარგმანი გარდმოგვცა ჩვენ გამოჩენილმა სომხურის ენის მცოდნემ ნ. ემინმა.

ვინც წიგნი ეს ხატნათი მახსენებს აქტივს (სხრილ), ის უფრო ხატნათი ხატნათს უხევე ვინა ხატნათი?

ბით, რომელიც იყო მთარგმნელი ბერძნულისა და სომხურის ენებიდამ; მეფე ივერთა ზაგურ და ეპისკოპოსი მოსე შეეწინებენ მესროფს*).

ევროპაში ქორიუნს კარგად ვერ იცნობენ; მაგრამ მოსე ხორენელის თხზულება კი წარსულ საუკუნის დასაწყისს გადათარგმნეს ლათინურად და მასუკან თითქმის ყოველს ევროპიულს ენაზედ, ასე რომ აღმოსავლეთის მცოდნეთ ძალიან ადრე გპიცნეს იგი**). ესაა ამ თხზულებას დიდი ნდობა აქვს; დასავლეთში და ძველის აღმოსავლეთის გასაცნობად სხვა წყაროთა შორის უკანასკნელად აღგილი არ უტყვიან. ამ თხზულების წყალობით ესაა ევროპის სწავლულებთ სჯერათ მოსე ხორენელის სიტყვა და ჭკობიანთ, რომ ქართული ანბანი მოიგონა მესროფმა, ამ საგანზედ ასე გულ-დაჯერებულნი არიან, რომ თვით ერთი საფუძვლიანი და ფთხილი სწავლული უიტონეი თავის თხზულებაში. რომელიც გამოიცა 1875 წელს, (*La vie du lagange, Paris, გვ. 202.*) ამბობს მესროფისაგან ქართულის ანბანის მოგონებაზედ ისეთი პილოთი, თითქმის ამ საგანში ეტვის შემოტანა შეუძლებელი იყოლო. მაგრამ ჩვენ გაგებდავთ და ვიტყვი, რომ ქორიუნისა და მოსე ხორენელის თქმული ქართულს ანბანზედ ჭეშმარიტი არ არის და ვეცდებით ამის დასამტკიცებელი საბუთები ამ წერილში წარმოკადგინოთ. ეს საბუთები პალეოგრაფიაზედ არ იქნებიან დაფუძნებული, ე. ი. ძველის ხელთ-ნაწერის შესწავლაზედ, რადგან, ჩვენს სამწესაროდ, ქართული პალეოგრაფია უკრეცდ არ

*) სომხეთის ისტორია მოსე ხორენელისა, თარგმანი ნ. ემინისა, გვ. 212.

**) იგივე გვ. 19.

ანსებობს. ჩვენის აზრის დასამტკიცებლად საკმარისია ისტორიული საბუთები, ქართულისა და სომხურის ანბანის ერთმანერთთან შედარება; თითონ ქორეუნისა და ძალსუ სორენელის თქმულის უურადლებით გასინჯვა და ქართლის-ცხოვრების გარდმოცემა.

როდესაც შესროფისაგან შემოდებულს ქართულს ანბან-ბანზედ ლაშარაკობენ, სასეში აქვთ მხოლოდ ხუცური, საეკლესიო ანბანი, რადგან ხუცური ერთის შესედულობით სომხურსა ჭკავს და ავიწყდებათ, რომ ქართველებს მეორე სამოქალაქო, მხედრული ანბანიცა აქვთ. საქართველოს ცხოვრებაში მხედრულს ყოველთვის მეტი მნიშვნელობა ჭქონია, ვიდრე ხუცურს; მხედრული იძმარებოდა ყოველ-გვანს საზოგადოებაში და მთელს სალსში იყო გავრცელებული; ხუცურს ანუ საეკლესიო ანბანს კი, როგორც თავით სახელივც ამტკიცებს, მხოლოდ საეკლესიო წიგნებისათვის სმარობდენ. მხედრულზედ სომხის ისტორიკოსები არასიერს არ ამბობენ; არასიერს არ ამბობს აგრეთვე განსაკუთრებით ამ ანბანზედ ქართლის-ცხოვრება; მაგრამ ამ უკანასკნელში მოხსენებულა, რომ საქართველოში პირველად წერა-კითხვა ჯ ანბანი შემოიღო ფარნაოზმა, საქართველოს პირველმა მეიქმანა *). ეს ჩვენება ქართლის-ცხოვრებისა ჩვენთვის იფრად შესანიშნავია; ამის გამოჯერ შეკუდრებით იმის დამტკიცებას, რომ ეს ქართლის-ცხოვრების თქმული ადვილად დასაჯერებელია და რომ ფარნაოზმა საქართველოში შემოიღო მხედრული ანბანი და არა ხუცური; შემდეგ მოვილაშარაკებთ ხუცურს ანბანზედაც, რომლის შემოდებათ შესროფი ჭქონიათ.

*) ქართლის-ცხოვრება, გამოცემა აკადემიკის ბროსესი 1849 წ., ნაწ. I, გვ. 32.

მეფე ფარნაოზს, რომელიც სცხოვრებდა მეოთხე საუკუნის დასასრულს და მესამე დასაწყისს ქრისტეს წინა, დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიაში. ფარნაოზმა და საქართველოს ჰმატრონობდენ მამასახლისებო. ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობამ მოუღო ბოლო მამასახლისობას და დამყარა საქართველოში მაკედონელ მსკდართ ბატონობა. ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ, ფარნაოზმა, შვილია, თუ ძმისწულმა უკანასკნელის მამასახლისისამ, გარკვეა საქართველოდამ შემოსეულნი მაკედონელი, თავის-თავი საქართველოს მეფეთ აღიარა და უფრო მტკიცე კავშირის დასამყარებლად თავის სამეფოში, შემოიღო იგივე ადმინისტრაციული და სამხედრო წესი, როგორც შემოღებული იყო დარბოს ჰისტასპისაგან სპარსეთის სამეფოში*); ერთის სიტყვით ფარნაოზმა მკვიდრი წესიერება ჩამოაგდო საქართველოში. მასვე მიასწერენ საქართველოში წერა-კითხვის შემოღებას და ეს ამბავიც დაუკვრებელი არ არის. იმ კაცმა, რომელმაც თავისი ხალხი უცხო-ქვეყნელთა უძობისაგან განათავისუფლავა, შემოიღო ახალი სამხედრო, ადმინისტრაციული და მოქალაქობრივი წესი და ამით ხალხს წინ იყესი წაადგმევისა წარმატების გზაზედ, — იმისთანა კაცმა საქმით გამოაცხადა თავისი სურვილი — ჩამოეგდო საქართველოში ერთობა და თავისი საკუთარი სასე დაუტყობინებია; იმისთანა კაცი ადვილად მიხვდებოდა, რომ წერა-კითხვა უძთავრესი საშუალება იყო იმის წადილის შესასრულებლად საქართველოს შესახებ. ეს შეხედულება უფრო, სარწმუნო იქნება, თუ მოვიგონებთ, რომ ფარნაოზის დროს აზრების ვარდაცმა ასოების მზგავს ნიშნებით იშვიათია არ იყო. ყოველს

*) ქართლის-ცხოვრება, გვ. 31

ხალხს, რომელთანაც კი მაშინდელს საქართველოს დამოკიდებულება ჰქონდა რამე—სპარსელებს, ბერძნებს და მცირე აზიის მცხოვრებთ სხვა ტომის ხალხთ, გაცნობილი ჰქონდათ ანბანის შემწეობით წერა-კითხვა.

ახლა გავსინჯოთ ეს: რა ანბანი შემოიღო ფარნაოზმა და ან რომელს ხალხს მიჰბაძა? ამაზედ აი რა უასრულო მიკვებთ: ფარნაოზმა შემოიღო სენდური ანბანი სპარსელებისაგან. შალეოგრაფია გვასწავლის, რომ რომელი ხალხიც კი გადაიღებს მეორე ხალხისგან ანბანს, უნდა ამ ხალხთან დაახლოვებული კავშირი ჰქონდეს რამე. ეს პირობა საქართველოსა და სპარსეთის შესახებ შესრულებულია, რასაც ამტკიცებს როგორც საზოგადო ისტორია, ისე კერძო ისტორია საქართველოსი.

უძველეს დროდამე საქართველოსა და სპარსეთს შუა განუწყვეტელი დამოკიდებულება და მისკლა-მოსკლა იყო. საქართველო შეადგენდა ნაწილს დარიოს-ჭისტასპის სამეფოსას, როგორც მეტერამეტე და მეცხრამეტე სატრაპია*) და ახმენიდებს აძლევდა გადაჭრილს ხაკას. ჩვეულება და სარწმუნოება საქართველოში იგივე იყო, ან-ე თითქმის იგივე, როგორიც მაშინდელს სპარსეთში**); ქართველების ღმერთის არმაზის სახელი თითქმის იგივე ორმუსდია. საქართველოს მამასახლისები ნათესავობდნენ სპარსეთის მეფეებს და დიდებულებს. მამა და ბიძა ფარნაოზისა დაიხრცნენ დარიოს გოდომანის ჯარში,

*) ჰეროდოტი. ფრანცუზული თარგმანი, წიგნი III, § 94 და საქართველოს ისტორია თ. ბარათაშვილის, რეველი I, გვ. 16.

***) ქართლის - ცხოვრება, გვ. 28 და ბარათაშვილის ისტორია, გვ. 20—21.

რომელიც იბრძოდა სპარსეთის დასაცველად მაკედონელების ხელთაგან. დედა ფარნაოზისა იყო სპარსელი ქალი ისპაჰანადამ*). ეს ქაკტები ცხადად აჩვენებენ, როგორ დაახლოებული იყო საქართველო სპარსეთთან.

ფარნაოზის დროს და იმის წინად რამდენიმე საუკუნეს სპარსეთში ხმარებული იყო ზენდური ენა და ზენდური წერა-კითხვა (*L'avesta, Zoroastre et Masdeisme par A. Hovelacque, 1880, გვ. 41.*). თუ ჩვენი აზრი შესახებ ფარნაოზისაგან ანბანის შემოღებისა სპარსეთიდან ნამდვილია, მაშინ ფარნაოზისგან მაგალითად აღებული ანბანი უნდა ზენდური ყოფილიყო, რადგან სპარსეთში იმ დროს სხვა ანბანს არა ხმარობდენ და ამას გარდა ჩვენი ანბანი უნდა ჰქაყადეს ზენდურს ანბანს. მართლაც და მსკდრულსა და ზენდურს ანბანს შორის დღესაც კი საკვირველი მსგავსებაა, თუმცა ჩვენი და ფარნაოზის დროს შუა მრავალს საუკუნეს გაუვლია.

ზენდურს ანბანშია 35 მარტივი ასო; მასშია აგრეთვე დიფტონგები და ლიგატურები, რომელნიც წარმოსდგებიან მარტივის ასოებიდან ერთმანერთთან სხვა-და-სხვა რიგად გადახლართვით (*Grammaire de la langue zende, A. Hovelacque, 1878. Grammaire comparée, t I, Fr. Vorr. Алфавит восточныхъ и западныхъ языковъ, Р. Нипперта*). ამ 35 ასოში 25-ს ეთანხმება მსკდრული ასოები, რომელთაგანაც ზოგნი განსაცვიფრელად წააგავს ზენდურ ასოებს და ლოგთა კი დასტეობით მეტ-ნაკლები ცვლილება, როგორცა სწახს შემდეგის შედარებიდან (ნახე დამატ. ფურც.)

*) ქართ.-ცხ. გი. 28 და ბარათშ. ისტ. გვ. 20—21.

ხშირად მოხდება ხოლმე რომ ასო იცვლება და აღარ წააგვს თავის დედანს, როდესაც ერთის ხალხიდან მეორეში გადადის. ამის მიზეზი სხვა-და-სხვა კალამი, სხვა-და-სხვა წიტი-სვი ხმათა, სხვა-და-სხვა რიგი წერისა მარჯვნიდამ; ანუ მარცხნიდამ, დრო და სხვ. მხედრული ანბანიც ვერ გადურჩებოდა ამ მიზეზებს, მაგრამ მანაც ზოგიერთი ზენდური ასოები სრულებით შეუცვლელნი დარჩენილან მხედრულს ანბანში, მაგ. ლ, ო, სხვებს სასჯ არ შეუცვლიათ, შეუცვლიათ მხოლოდ მიმართულება: ზოგან სიგე სიგანეთ გადაქცევია და სიგანე სიგეთ, ან მარჯვენა მხარე მარცხნივ მოქცევიათ, რაც ადვილად სასხსნელია, რადგან ზენდურად მარჯვნიდამ მარცხნივ იწერება და ქართულად კი მარცხნიდამ მარჯვნივ; ამისთანა ასოები არიან ლ, ო, მ, კ და სხვ. ზოგიერთ ასოებს დაჭკლებიან რომელიმე ხაზით, ან ამ ხაზს სხვა მიმართულება მიუღია, ვიდრე ზენდურს. ასოებში ჭკონდა, მაგ. ლ, ა, ო, ტ და სხვ. უნდა ესეც მოვიგონოთ, რომ ყოველს ზენდურს ასოს როდი აქვს შესაფერის ხმა ქართულს ენაში. შემოხსენებულნი ცვლილებანი ისე მტკიცე არიან, რომ ვინც კი პალეოგრაფია იცის, არ ჩასთვლის გადაჭარბებათ ჩვენს სურვილს, — ნაჩვენებს ფაქტებსად დავაფიქროთ მსგავსება ზენდურის და მხედრულის ანბანისა. მრავალი ანბანი, რომელთ დანაწილისი ჩვენ შედმიწევნით ვიციან, ნაკლებს ცვლილებებს არ წარმოადგენს თავის დედანთან შედარებით; ვიდრე ამას ქართულსა და ზენდურს. ანბანებში ვხედავთ, მაგალითად შეიძლება დავასახლოთ რუსული ანბანი, რომელიც ბერძნულისაგან წარმოსდგება.

ჩვენის აზრით, შემოხსენებულის ფაქტებიდან ცხადადა სჩანს, რომ მსგავსება ზენდურსა და მხედრულს ანბანს შორის შემთხვევას არ არის; არამედ ეს ფაქტი ამტკიცებს ამ ორის

ანბანის ახლო ნათესავობას ერთმანერთთან. მაგრამ შეიძლება ვიკითხოთ: სწორედ ფარნაოზის დროს კი შემოიღეს ზენდუ-რი ანბანი საქართველოში? ამ კითხვაზედ პასუხის მისაგებლად ჩვენა გვაქვს ერთი ისტორიული ფაქტი, ის რომ ზენდური ენა და წერა-კითხვა გადაეარდა სპარსეთში მესამე საუკუნეში ქრისტეს წინა, მასუგან, როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა სპარსეთის სამეფო დაამსო (L'avesta, Zoroastre et Mandeisme par A. Hovelacque, 1880.) ალექსანდრე მაკედონელის სამეფოს დამხობის შემდეგ პირველი ადგილი დაიჭირეს პართიანელებმა და როგორც არშაკიდების, ისე სასანიდების დროს ხმარებაში იყო პესლეკვიური ენა და წერა-კითხვა, ანუ გუზგარეხ. მასუგან სპარსეთი დაიპყრეს არაბებმა, რომელთაც შეიტანეს იქ თავიანთი სარწმუნოება და თავიანთი წერა-კითხვა, რაც დღესაც ხმარებაშია. ამ დროს განმავლობაში ზენდური წერა-კითხვა სრულიად მოიშრა და მხოლოდ სწავლულის აკეტილ დიუპერონის მოღვაწეობით იპოვნეს იგი წარსულ საუკუნის მეორე ნახევარში და გააცნეს ევროპის მეცნიერებსადაც, რომ ზენდურის ანბანის შემოღება უცხო საღისისაგან მხოლოდ მასინ შეიძლება მომხდარიყო, როდესაც მას ხმარობდა ხალხი პოლიტიკურისა და ჭკუა-გონების გავლენის მქონე, რადგან მხოლოდ გავლენის მქონე ხალხს შეუძლიან თავისი ანბანი სხვას მიადებინოს; და ცნობილია რომ სპარსეთს იმოდენა გავლენე არას დროს არა ჭჭონია მცირე აზი-ში, როგორც მაკედონელებისაგან დაპყრობის წინადა ჭჭონდა.

ზენდურის ანბანის გავრცელების დრო სრულიად ეთანხმება ფარნაოზ მეფის დროს. ფარნაოზის შემდეგაც შექმლეთ ქართველებს ანბანის შემოღება, მაგრამ ეს ანბანი ზენდური როდი-ღა იქნებოდა. შედარებად გვახსენა, რომ ქართველებმა ზენ-

დური ანბანი შემოიღეს, მაშასადამე ეს ანბანი უნდა ფარნა-
ზის დროს ყოფილიყო შემოღებული.

სწინს რომ ქართველებმა ანბანი მესროფზედ ბევრით ად-
რე იცოდენ. ამასვე ამტკიცებენ ქართლის-ცხოვრებიდამ ამოკ-
რეული ცნობები, რომელთაგანაც ზოგიერთებს აქვე დავასა-
ხელებთ და მასუკან გავსინჯავთ ხუცურს ანბანს და სომხის
ისტორიკოსების ცნობებს მესროფის მოქმედობაზედ.

ქართლის-ცხოვრება ამბობს, რომ მეფე მირიანმა, რომ-
ლის დროსაც შემოვიდა საქართველოში ქრისტიანობა, ახალის
სარწმუნოების მიღებამდე, მოიწადინა გაეცნო მისი ღირსება
და გარდა ბევრის ბასისა ქრისტეს მცნების მქადაგებლებთან,
იკითხა მრავალი ძველი და ახალი წიგნები და აკრეთვე წიგნი
ნიკოლოდისა, რომლებშიაც იმან იპოვა წინასწარმეტყველება შე-
სახებ მესიის მოსვლისა*). იგივე ქართლის-ცხოვრება ამბობს,
რომ მირიანმა, წმინდა ნინომ და სასოგადოდ ეკელა ქართვე-
ლებმა მიიღეს რომის პატრიარქისაგან მოლოცვის წერილი
ქრისტიანობის მიღების გამო და თავის მხრითაც გაუგზავნეს
პასუხად წერილები გამოგზავნილის პატრიარქის ხელით**).
შემდეგ არის ნათქვამი, რომ წმინდა ნინო, რომელმაც ქრის-
ტეს რჯული შემოიტანა საქართველოში, არას ამბობდა თავის
ვინაობაზედ, მაგრამ სიკვდილის წინ, 338 წელს ქრ. წინადა,
დათანხმდა თავის მახლობელთა თხოვნას და უაშბო თავისი
ცხოვრება; მან განაცხადა სურვილი მოეტანათ საწერ-კალამი
და ჩაეწერათ ნაამბობი მისი: იქ მდგომთა შორის მეფის ასულ-
მა სალომემ და ერისთავმა ერასე ავრისტოვანმა მოიტანეს სა-

*) ქართ.-ცხოვ. გვ. 84.

**) იგივე, გვ. 97.

წერ-კალაში და ჩასწერეს ყოველივე, რაც უამბო მათ თავის-თავზედ წმ. ნინომ*). იქვე აგრეთვე ნამბობია, რომ როდესაც მეფის ვარსებარის შვილს მურვანოსს ასწავლიდნენ წერასა და კითხვას, ისეთი ნიჭი გამოიჩინა სწავლაში, რომ მნახვანი დიდად გააფრთხილა (**). ჩვენ აღარ დავასსელებთ სხვა საბუთებს, რომელნიც იმ დროსვე ეგუთვნიან ეს ფაქტებიც, რომელნიც მომხდარან მეოთხე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ, ე. ი. მესროფის ანბანის წინა, ამტკიცებენ რომ ქართველებს მესროფის დრომდეც ჭქონდათ თავიანთი ანბანი.

თუ ყოველსავე ჩვენგან ნათქვამს საწმუნოდ ვაღვიარებთ, უპიკელოდ უნდა მივიღოთ, რომ ქართველებს მესროფის წინა ჭქონდათ ანბანი და ეს ანბანი იყო მხედრული. ამის შემდეგ გაკვინჯოთ ხუცური ანბანი და თქმული მესროფზედ სომხების ისტორიკოსებისაგან.

ხუცური ანბანი მართლაც რომ ერთის შესხედვით ძალიანა ჰგავს სომხურს ანბანს, რომლის მოგონებას მესროფს მიაწერენ; მაგრამ ეს მოგავსება მხოლოდ გარეგანია. სომხური ასოები შესდგებიან სწორე ხასებისაგან და წარმოსდგებიან მათის გადაბმით ერთმანერთთან. ამიტომ სომხური ასოები კუთხიანებია. ესევე კუთხიანი სასე აქვს ხუცურს ასოებს, რადგან ისინიც სწორე ხასებისაგან შესდგებიან; მხედრულს კი სრულებით მრგვალი სასე აქვს, რადგან მასში მრგვალი ხასები და არა სწორეები. თუ ამ გარეგანს მოგავსებას თავს დაკანტებთ და შევადარებთ ცალ-ცალკე ხუცურს ასოებს სომხურ ასოებთან, ვერ ვიპოვით ვერაერთანს მოგავსებას გარდასახოსი

*) იგოვე, გვ. 99.

**) ქართ. ცხოვ. გვ. 103.

(კ). მაგრამ თუ ხუცურს ასოებს მხედრულებს შეკადრებთ დიდს მზგავსებას კნახავთ: მხედრულს ანბანში ვგ ასოა და ვ0-ის მათგანის მზგავსი მოიპოვება ხუცურში, მხოლოდ იმ მცირე განსხვავებით, რომ მხედრული ასოები მრგვალის ხაზუბიდამ შესდგება და ხუცურში ეს მრგვალი ხაზები სწორედ არის გაწყული; აი მაგალითისათვის რამდენიმე შესადარებელი ასო.

მხედრული.	ხუცური.
თ	მ
მ	შ
ნ	ჩ
ს	ც

დანარჩენის რვა ასოცაჲ შიდა, უფრო შეცვლილია, მაგრამ ეს ცვლილება ისეთი დიდი არ არის. რომ იმ ასოების თაყიანთ დედანებთან შედარება აღარ შეიძლებოდეს; მეორე ასო ჰ (კ) ძალიან ჭკავს სომხურს ასოს, რომელსაც იგივე ხმა აქვს.

ჩვენ როცა მხედრულისა და ხუცურის მზგავსებაზედ ვლაპარაკობდით, სხსეში გვქონდა მხოლოდ ხუცური ჩვეულებრივი ასოები და კიდევ ზოგიერთი ასო-მთავრული; სხვა ასო-მთავრულები კი არა ჭკავსან არც მხედრულს, არც სომხურს ასოებს*). შესანიშნავია, რომ ზოგიერთი ხუცური ასოები

*) კლავროცმა რადგან თავის თხზულებაში ვერ შეადარა ხუცურის ასო-მთავრულები სომხურს ასოებს, ეცადა სხვა ანბანებთან შედარებინა და იპოვა დიდი მზგავსება მათსა და სხვა-და-სხვა ანბანებს შუა რომელთაც ინდოეთში ხმარობენ, სხვათა შორის ანბანთან დევანაგარი. ზოგიერთი შედარება კლავროცისა საფუძვლიანია, მაგრამ შემცდარი გვეგონია მისი აზრი, ვითომ ამ ასოების გულისთვის მესროფი ინდოეთ-

უფრო ჰგავნან ზენდურს ასოებს, ვიდრე მხედრული ასოები, მაგ. ა, ზ, უ და ა.

ამ განჩევამ დაგვანახვა შემდეგი: ხუცურს ანბანს მხოლოდ ერთი ასო აქვს საერთო სომხურს ანბანთან და აგრეთვე სომხურის მზგავსი შეხედულობა; დანარჩენ 37 ასოში 30 სრულებით მხედრულსა ჰგავნან და შვიდში კი ეს მზგავსება ისეთი ცხადი არ არის. ამიტომ გაბედვით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ხუცური ანბანი იგივე მხედრული ანბანია, მხოლოდ მრგვალი ხაზები სწორე ხაზებზეა შეცვლილი. მაგრამ ეს ცვლილება ისეთი დიდი არ არის, რომ იმის მოსასდენად უცხო-ქვეყნელების შეკლა დასჭირებოდა. მეტადრე იმისთანა ხაფხს, რომელსაც მუდამ მისგლა-მოსგლა ჰქონდა ბიზანტიასთან და სხვა მაშინდელ განათლებულ ხაფხებთან, რომელსაც შვიდი საუკუნე მეტი ჰქონდა თავისი წერა-კითხვა.

ახლა გავსინჯოთ ქორიუნისა და მოსე ხორენელის თქმული და გავაჩნოთ მისი შინაარსი. უნდა შევნიშნოთ, რომ ქართლის-ცხოვრებაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი არც მესროფზედ, არც იმისგან ხუცურის ანბანის შემოღებაზედ. ქორიუნისა და მოსე ხორენელის გარდმოცემული სწორედ ეთანხმება ერთმან-ერთსა: ორივე ამბობენ, რომ მესროფმა ანბანი შემოიღო ბაკურ მეფისა, მოსე ეპისკოპოსის და ჭახის დროსაო. განსხვავება მხოლოდ ეს არის, რომ ხორენელს ჭახი ჰყოლია ბერძნულისა და სომხურის ენიდამ მთარგმნელად,

ში წასულიყო. ბიოგრაფიული ცნობები მესროფზედ და იმის მოგზაურობაზედ არ ეთანხმება კლაპროტის აზრს. კლაპროტი სულ იმასვე სტდილობს, რომ ყოველისფერი მესროფის წყალობით ახსნას და უსე ამტკიცებს, რომ კლაპროტს მოსე ხორენელისაგან გარდმოცემული ამბავი სრული ჭეშმარიტება ჰგონია.

რაც გვარწმუნებს მესროფისაგან ქართულის ენის უცოდინარობას; ქორიუნი ვი ამბობს ჯახიზედ, რომ ქართულის ენის კარგი მცოდნე იყო. ქორიუნი თავის თქმულს უმატებს კიდევ, რომ მესროფი, საქართველოდამ, ალბანიაში წავიდა და დაბრუნების დროს საქართველოს ტახტზე დასვდა სხვა მეფე, სასულად არციუს, რომელიც დიდის გულ-მოდგინებით ავრცელებდა მესროფის ანბანსა.

აქ არის მოხსენებული ოთხი სახელი: ორი მეფე—ბაკურ და არციუს, ეპისკოპოზი მოსე და ჯახი. ჯახის სახელი რომ არ არის ქართლის-ცხოვრებაში ეს კიდევ არ უნდა გვიკვირდეს, რადგან ჯახი შეიძლება სწავლული ყოფილიყო, მაგრამ ხარისხი ვი არა ვქონოდა. რა და ქართლის-ცხოვრება მოგვითხრობს მხოლოდ მეფეების, ეპისკოპოზების და როგორც იმ ერისთავების ამბებს, რომელნიც შემკვიდრებით მფლობელობდენ საქართველოს სხვა-და-სხვა მხარეში. გასაკვირველი და გაუგებარე ეს არის, რომ ქართლის-ცხოვრება მესროფის დროს არც ბაკურ მეფეზე და არც სხვა მოსე ეპისკოპოზზე არა ამბობს და არციუს მეფის სახელი საქართველოს ისტორიაში სრულიად არ არის, თუმცა ვი ვკვლავ მეფეების სახელებია, და ატრეთეე სახელები ეპისკოპოზებისა, უმაღლეს სასულიერო პირთა მაშინდელს დროში, დაწვრილებით ვიცით. მესროფი დაიბადა 361 წელს და მოკვდა 441 *). ქრისტიანობის დამკვიდრებიდან საქართველოში 446 წლამდე, ე. ი. ვიდრე ვასტანგ I ტახტზე ავიდოდა, სუთის წლის შემდეგ მესროფის სიკვდილისა, საქართველოში იყო სულ ცხრა ეპისკოპოზი და არც ერთს მათგანს მოსე არა

*) ხორენელის ისტორია, თარგმანი ნ. ემინისა, გვ 362.

ჭკვიან. ბაკურ მეფე სჯდს იყო საქართველში: პირველი მოკ-
ვდა 246 წ. ქრისტეს შემდეგ, მეორე 528 წელს და იმეფა
მხოლოდ 14 წელიწადი და მესამე იყო ამათზედ კიდევ გვიან.
ეს ფაქტები ამტკიცებენ სომხის ისტორიკოსების თქმულის მნიშ-
ვნელობას. მესროფისაგან ქართულის ანბანის მოგონებზედ
არის კიდევ ერთი არა-უმნიშვნელო ფაქტი—ასო O (ო) სომ-
ხურს ანბანში. ეს ასო არ იყო მესროფის ანბანში და მხო-
ლოდ მეთორმეტე საუკუნეში ჩაუმატეს სომხურს ანბანს *);
ქართველები კი ამ ხმის გამოსათქმელად ხმარობდნენ ასოს ო-ს.
იმავე სახით, როგორც მეექვსე საუკუნეში; ძმას ამტკიცებს ძა-
ნეთი სტეფანოს მეფისა, რომელიც სცხორობდა მეექვსე სა-
უკუნის დასასრულს. ეს მანეთი არის დახატული ვიქტორ ლან-
გლუას წიგნი (*Essai de classification des suites mon-
étaires de la Géorgie, Paris, 1860, planche II, № 13.*)
ქართულ მანეთების შესახებ. ამ ცნობებს გარდა სხვა ნამდვი-
ლი ისტორიული ცნობებიც ამტკიცებენ, რომ საქართველს
დიდი დამოკიდებულება ჰქონდა სპარსელებთან, ბერძნებთან,
რომაელებთან და ბიზანტიელებთან. ყოველს ამ საფხვრზე, რო-
გორც ვიცით, გავრცელებული იყო ანბანის სმარება. ამის გა-
მო მნელად წარმოსადგენია, რომ საქართველს ადრე არ ეტ-
რძნო სარგებლობა და სიკეთე ანბანის შემოღებისა. ქართული
ანბანი ჩინებული საშუალებაა მდიდარ ქართულ ხმების გამო-
სათქმელად; ისეთის სიმარტივით და ცხადად გამოხატავს იგი
ამ ხმებს, რომ ძვირად მოიძებნება იმისი მზგავსი ანბანი და
ამ ძნლივ თვით სომხურიც ვერ შეედრება. ეს სიკეთე ანბანი-

*) Начальные основанія гайганскаго языка, Берое-
ва, ст. 7.

სა თვითვე ამტკიცებს თავის სიძველეს და იმას რომ ამ ანბანის შესამუშავებლად უნდა ეშრომნათ ბევრს უცნობს პირს, რომელთაც კარგად ესმოდათ ხმების ასრებათ დაყოფა; ამ გვარში გამარტივება შეუძლებელი იყო უცხო-ქვეყნელისათვის, რომელმაც ქართულიც კი არ იცოდა. ამის გამო სომხის ისტორიკოსების თქმული შესწავლისაგან ქართულ ანბანის შემოღებაზედ ჩვენის აზრით ყოველწად უსაფუძვლოა.

შეიძლება გვითხრან, რომ იმისთანა პირების გარდმოცემა უფლი, როგორც არიან მოსე ხორენელი და ქორიუნი, რომელნიც თითქმის შესწავლის დროსა სცხოვრობდენ, სრულიად უსაფუძვლო არ იქნება, ალბად რომელსამე საბუთზედ არის დამყარებულიო. ამ ძველს საუბანზედ მხოლოდ შემდეგი აზრი წარმოგვეთქმის: მეოთხე საუკუნის მეორე ნახევარში და მეხუთე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ მეტად გაგრძელდა განდევნილობა (სეკტები), განდევნილთა შორის დიდი მტრობა ჩამოკარდა და ერთმანეთს აღაწაფერში ჭზოგავდენ. ერთი სექტა არ ინდობდა არაიერს, რაც კი მეორე სექტას ეკუთვნოდა. ეს დევნა ანბანსაც გადასწვდა. ჩვენ ვიცით რომ მეხუთე საუკუნეში ნესტორიანელებმა, რომელნიც სპარსეთის დასავლეთის სამხლვრებზედ სცხოვრობდენ, დაივიწყეს თავიანთი ძველი ანბანი და ახალი მოიგონეს, რომ სრულებით მოესპოთ იმათი სასწავარი, ვინც კი მათის შესხედულობისა არ იყო საწმუნოებაზედ (Fr. Lenormant, *Essai sur la propagation de l'alphabet phénicien*, t II, გვ. 24). ამას გარდა საწმუნოების ცხარე თავგანის-მცემელი სზობდენ ახლად მოქცეულ ქრისტიანების ანბანს, რომ იმათ აღარ ჭქონოდათ რა კავშირი ძველს ცხოვრებასთან, აღარ შემდგარიყვნენ, და უგონებდენ ახლს ანბანს. ასე უფრო იმ ხალხებს ექცეოდენ,

რომელთაც ქრისტიანობის მიღებადე არა ჰქონდათ ვრცელი ლიტერატურა.

ქართველებში არასდროს არა უოფილა გავრცელებული საწმინეთობის ტანატოში და არას დროს არ აწუხებდენ სხვა საწმინეთობის მიმდევართ, მაგრამ პირველ საუკუნეებში ქრისტიანობის მიღების შემდეგ ქართველი მეფეები და ეპისკოპოსები ცდილობდენ ქართველებისთვის დაევიწყებინათ ძველი დრო ჰერმეო-მსახურებისა. იქნება ამ აზრით განიზრახეს ქართულ ანბანის შეცვლა და რადგან შესროფმა გამოიჩინა თავი სომხეთში, იქნება ის მოიწვიეს, როგორც გამოცდილი კაცი ღ მან უჩნია მრგვალის ხაზების მაგიერად სწორე შემოღოთ. ესეც შესაძლებელია, რომ სწორე ხაზები მრგვალისაგან წარმოსდგენ თავისითვე. ეს შეიძლებოდა ასე მომხდარიყო: ქრისტიანობის წინად ქართველებს ეკლესიები არა ჰქონდათ; შემდეგ ქრისტეს რჯულის მიღებისა, ააშენეს მრავალი ეკლესიები; ეკლესიებზედ საჭირო იყო ზედ-წარწერა; და კედლებზედ წერა ბევრად უფრო მარჯვეა სწორე ხაზებით ვიდრე მრგვალებით.

ზემოხსენებულის გამო ჩვენ ვბედავთ ღ გამტკიცებთ სამს საგანს:

1) საქართველოში ანბანი შემოღებულ იქმნა მეფე ფარნაოზისაგან, მეოთხე საუკუნის ბოლოს, ან შესამე საუკუნის დასაწყისში ქრისტეს წინად;

2) ხუცურნი ანბანი იგივე მხედრული ანბანია, მხოლოდ შეცვლილი, და

3) შესროფმა, თუ მიიღო რამე მონაწილეობა ხუცურის ანბანის შემოღებაში, მიიღო მხოლოდ ესა, რომ არნია მხედრულ ასოებში მრგვალის ხაზების მაგიერად სწორე ხაზებით ეწერათ.

საქართველოში ანბანი შემოღებულია იქრომქედლიშვილი.

ხალხური ლექსები.

(ზემო იმერეთში შეკრებილთაგანი).

I

გაზაფხულისა შირზედა ხეს ფურცელი გამოუვა;
გაწი რომ გაღარბდება, თავში ჭკუა გამოუვა,
ზოგს ძილად გარდაექცევა, ზოგსაც ძილი არ მოუვა
რა ჭქნას კარგმა მოხადრემა თუ დროს შაში¹⁾ არ მოუვა?

II

სიბერე მასლავს, დაელიე სიემაწვილის დღენია,
ხან ავად ვიყავი, ხან კარგად, მაგრამ ის არა მწყენია!
ხან დაკდიოდი ქვევითად, ხან მუკვდა კარგი ცხენია,
სოფელი კაცსა გამოცდის, ამისი არა მრცხენია!!

III

სიბერე ასე ძნელია, საღს კლდეა შეეწონების,
დაჯდების, ველარ ადგების, არგანისა დაეგვანების;
სიბერე გულზე მჯიღს იკრავს, სიერმე რომ მოაგონდების;
რა გინდ რომ კარგი უნდა სთქვას, უმაწვილს არ მოეწონების.

¹⁾ ზოგან ამბობენ «თუ დუ-შაში»-ო «თუ დროს შაშის» მაგიერ.

ლიტერატურული შენიშვნები.

(«რუსეთის ეხლანდელი მდგომარეობა» გ. თ.-ისა «ივერია» № 4,
«უინაური მიმონიღვა» «ივერია» № 5. «თავიდგან თუ ბოლოდგან?»
გ. ყიფშიძისა, «იმედი» № 5.)

ამ შენიშვნებს წარვედგენთ მკითხველებს როგორც უბრალო საუბარს ზოგიერთა ჩვენ უურნალებში დაბეჭდილ წერილებზე, და ვიფიქრობთ რომ, დრო გამოქვებით ამ გვარის საუბარი მკითხველთან უაღაგო არ იქნება, მეტადრე იმისთანა საგნებზე, რომელნიც ჩვენთვის ვერ ნაკლებად არიან გამოკვლეულნი. ამისთანა საგნებთ ჩვენ მიგვანხია სხვათა შორის იგინი, რომელთ შესახებაც დაპირაკობენ ზემოდ ამოწერილი სტატები. უაღაგო არ იქნება ამისთანა საუბრები იმისთვის რომ, ერთსა და იმავე საგანზე გამოითქმება სხვადასხვა აზრი და მხოლოდ ამ საშუალებით შესაძლოა ჭეშმარიტის აზრის დადგენა.

წელს «ივერიაში» რადენიმე სტატია იყო დაბეჭდილი რუსეთის მდგომარეობის შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, კერძო ერთს მათგანში აკტორებმა ვერ გამოხატეს ვრცლად და ნამდვილად რუსეთის მდგომარეობა, მისი სენი და გაჭირვება. ამ გარემოების მიზეზი არის უიერო თვით მწერლობის არაფრად სანატრელი მდგომარეობა რუსეთში, განსაკუთრებით უროვინ-

ციაში და ნამეტნავად ჩვენს დალოცვილ საქართველოში,

ამიტომაც მწერლები ისევე მიადგნენ - მოადებით წეკანს ან ჩეკენს, ოღონდ ცოტა რამე მანინც აცნობონ მკითხველს და მით თავიანთი გულის-წადილი ცოტათიც არის შეისრულონ. თუ კაცმა დაიკიწეს სადა სწეკს, ვისთვისა სწეკს და თავისი აზრი სრულად გამოხატავს, მაშინ მის ნაწერებს უმოწყალოდ ფრთები შეეკრება და იქნება სულიც ამოხდეს.

სწორედ მწერლობისთვის ყოფილა მოგონილი პრეკუსტის ლოგინი, რომელსედაც მაღალს ვაცს თავს ან იყვებს აჭრიდენ და დაბალს იმდენს გასჭიმავდენ, რომ ლოგინის სიგძე გეკნადათ.

ესლა ჩვენ ჩვენის მხრით გეცდებით რამე ღონისძიებით გამოვთქვათ ჩვენი აზრი ზემოხსენებულ საგნებზედ...

ერთი ჩვენი სტატია («ივერია» № 3) დავაბოლოვეთ ჩვენდა უნებურად შემდეგის სიტყვებით: «ლორის-მელიქოვის გამგებლობის დროს რეკლამაციონერების მოქმედება თითქო შეწყდა, თითქო სოციალისტების პარტია დამარცხდა ბრძოლაში, მიწასთან გასწორდა...» მკითხველი მიხვდება ჩვენს აზრს.

რისთვის გერ მოხუცო ლორის-მელიქოვმა სოციალისტების პარტია და რა სუშუალებით ებრძოდა მას? 2 აზრილის შემდეგ, როდესაც სოლოვიოვმა ესროლა ხელმწივეს დამბახა, როგორც მკითხველმა უნდა იცოდეს, რუსეთი დაიყო რაოდენიმე სამხედრო საგუბერნატორთ, რომელთაც სრულის უფლებით განაგებდენ გუბერნატორები. ლორის-მელიქოვი, როგორც ერთი გენერალ-გუბერნატორთაგანი, განსხვავდებოდა სხვა თავის მოძმეებისაგან იმითი, რომ დაადგა «მშვიდობიან პოლიტიკას» და სხვები კი სსსტის ზომების მომხრენი იყვნენ.

როდესაც ესენი არ ზოგადენ სოციალისტებს, ლორის-მელიქოვი (ხარკოვის გუბერნატორი) ცოტათი უფრო იბილად ეპყრობოდა რეკლამაციონერებს, მაგალითად სიკვდილით დასჯის მაგიერ ბრალდებული იგზავნებოდა კატორგაში ათის, თხუთმეტის წლით.

რუსეთის მართებლობა თითქო სცდიდა, რომელში სისტემას სჯობდა, ლორის-მელიქოვისა თუ ტოტლეებისა და ჩერტოვისა, თუმცა ეი მათი სისტემები უზინცივიანდურად სრულიად არ გაიჩეოდენ ერთმანეთისაგან. ვარდა ამ სჯ, ისიც უნდა შენიშნათ, რომ ხარკოვის გუბერნიას სხვა რეკლამაციონერთა ცენტრებს ვერ შედრებოდა, აქ უფრო ხალებად იყვნენ სოციალისტები. ბოლოს ისე გამოსნდა, თითქო ლორის-მელიქოვი თავის ს. მ. კლობლში სოციალისტების მოქმედება მოსპო და ის მხარე გჭკუნს რეკლამაციურ სენისაგან.

ლორის-მელიქოვი სსვაფრივ ვერ მოიქცეოდა, ჰადგანდა ხარკოვის გუბერნიას ექვმედებობა და მოელს რუსეთში შემოღებულს განონებს და განცალკევებულს მხარეს არ შეადგენდა. მკრძე, როდესაც ლორის-მელიქოვი დაინიშნა ვერ უჩენაეს გამოხიბას თავ. მუდომადრით და მარუკას შინაგან საქმეთა მინისტრათ, იგი მიჭყუა იმავე უროგანმას, რომელსაც ხარკოვის გუბერნიასში ადგა. რუსულ ყურსად-გაჩეთები ძალიან რძედოვნებდენ ლორის-მელიქოვის, რომლის გამგებლობა რუსეთს ჭვირდებოდა ასაღს ექას... ლორის-მელ ქოვიმ შეჭურვილმა სსვა-და სკა დიდის უფლებნთ, განაგრძო რუსეთის განუჩნება თავისებურად. მან გააუქმა მესამე განყოფილება და მინა საქმეები გრდაცა შინაგან საქმეთა სამინისტროს ე. ა. მილოთავის-თაჭრე. მართალია, რომ ვსთქვათ მესამე განყოფილების

სული და გული არ მოხვობილა და ეს შეუძლებელიც იყო, რადგანაც ამისთანა საქმე წინააღმდეგი იქნებოდა მთელის რუსეთის კანონ-მდებლობისა. მაშასადამე ამ მოქმედებამ ლორის-მელაქოვისამ თითქმის უნაყოფოდ ჩაიარა და მხოლოდ დროებით დააშოშმინა ხალხი.

ყოფი იგი შეუდგა პოლიტიკურ დამსაშკვთა ყოფის გაუმჯობესებას, რომლებითაც მოთქნილი იყო მთელი ცივილიზირი და საკსე იყო ცნობები; მაგრამ არც არაფერი აქ გამოვიდა და არ გამოვიდა აი რა მიზეზით: რა უნდა იყო, მაკალითად, ერთის გუბერნიადგან მეორე გუბერნიასში გარდაყვანა პოლიტიკურ ბრალდებულისა და ესეც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი მთავრობა იმაზედ კარგის არჩისსა? სრულიად კი მხოლოდ უმცირესი ნაწილი გაანთავისუფლეს, რომელიც არასოდეს არა რევია პოლიტიკურ საქმეებში და მარტო ადმინისტრაციის შეცდომის მსხვერპლი იყო მრავალს სტუდენტს, უბრალო მიზეზებისთვის სწავლას მოშორებულს, მიერა უჩულებს დაბრუნებისა და სასწავლებელში შესვლისა, მაგრამ, როგორც ვიცით განუთებიდგან, ამ ბედნიერებას ეღიროს უმცირესი ნაწილი.

როგორც შეითხველს მოესაჩნება, რუსეთის ლიტერატურის მდგომარეობა მეტად შევიწროებული ზ მონებრივია. ლორის-მელაქოვის გამგებლობის დროს, იწყეს ლაშაჩაკი ლიტერატურის ყოფის გაუმჯობესებაზედ, ვითომ მისთვის უნდოდათ მიენიჭებინათ თავისუფლება, მაგრამ ესეც ვერ აღსრულდა. მართლაც-და რად მიეტეძოდა უზიარტესობა ერთს რომელსამე დასს ან წოდებას . . . ეს არ შეეთანხმებოდა რუსეთის ცხოვრების წყობილებას. . . .

ეს აღრევე უნდა გამოეცნო ლიტერატურას და საზოგა-

დოებას, მაგრამ მან ვერ შესძლო საქმის ნამდვილად გამო-
კვლევა, მიეცა სისწრულს, ოცნებებს, ეგებ რამე ვაპოველ-
სო.

შეუძლო თუ არა ღორის-მელიქოვს სხვა-ფერი ემოქმედ-
ნა? არა, რადგან იგი დღე იმავე ნიადაგზე. რომელზედაც
იდგნენ სხვა მეურნეები. ღორის-მელიქოვის და საბურჯის
მოქმედებამ კიდევ ერთხელ ხათლად დაგვიმტკიცა ის ისტო-
რიული ტექმარტება, რომ კერძო ზომებით და მალამოს წას-
მით არ შეიძლება განიერუნოს ის სენი ორგანიზმისა, რომელ-
იც მას ძველ-რბილში გასუფლამია... ღორის-მელიქოვს, რომ-
გორც დიდის ნიჭის მატრონს, უნდა სტოანოდა რომ მაგ ზო-
მებით არა განიგდებოდა-რა; იქნება კიდევ იცოდა და უნდო-
და ხელ-ხელა შეეტკვალა რუსეთის წყობილება, მაგრამ მართლად
მკომრობა არ გამოადგა. ღორის-მელიქოვმა ხელმწიფის სიკ-
ვდილის შემდეგ დაანება თავი სამსახურს, ან მისთვის რომ
დაწმუნდა თავის ზრგონამის უწყობობას, ან არა და ვერ
სძლია თავის მარინდაზიკებს.

* * *

«ივერიის» მეს-უთე ნომერში დაბეჭდილი იყო შინაური
მიმოსილება, რომელშიაც სხვათა შორის იყო ღანჯარავი უარ-
მყოფელს მიმართულებასზე რუსეთში, ამის ჩვენში გარდმოტა-
ნაზე და იმაზე თუ რას უნდა მისდევდეს ჩვენი ინტელიგენ-
ცია, რა გზას უნდა დაადგეს იგი ჩვენის ხალხის კეთილ-დღე-
ობისათვის. ზრინციზიად უნდა ჩვენ ამ სტატიის წინააღმდეგ
არაფერს არ ვიტყვი; ჩვენ გვსურს მხოლოდ განვმარტოთ
სტატიის დედა-აზრი და ჩვენი აზრი წარმოვსთქვათ უარ-მყო-
ფელს მიმართულებასზე უარ-მყოფელი მიმართულება რუსეთში
დაიწყო «Современникъ»-მა; რომლის უმთავრესი წარმომად-

გენელთაგანი იყო სასულთნის დობროლიუბოვი. მას უკან კი ამ მიმართულებას წარმოადგენდა ურუნალი «Русское Слово» და მისი თანამშრომელი პისარევი. Современник-ის და პისარევის ურმყოფლობას ედ თითქმის ყველანი და მათ შორის შემოხსენებულ სტატიის ავტორიც ერთისა და იმავე აზრისა არიან: ამ ორ ლიტერატურულ ბანაკს შუა სდებენ სამზღვასს ჭკობი-ერთმანერთის წინააღმდეგათ მიხნიათ. Современник-ის ურმყოფლობა ნამდვილი ნაყოფიერი ურმყოფლობა ჭკობნიათ და პისარევისა კი შემეტადი მიმართულება და სშირად მანებელიც. ჩვენ ვთქვით, რომ ეს აზრი შემეტადი აზრისა და ვერდებით კიდევ დავამტკიცოთ. იმ ორ ბანაკს შუა საზის გაყვანა შეიძლება ჭ საჭიროც არის, რადგანაც ივინი შეადგენენ ორ ლიტერატურულ ზერიოდს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჭქონდათ რუსეთის საზოგადოებისათვის. ამავე კიდევ მისთვის არის საჭირო მოლაზარება, რომ Современник-მა მისიც დიდი გავლენა იქონია ჩვენს მწერლობას.

რუსეთი შესამოცე წლამდე წარმოგვიდგენდა მონურს, ბნელს ქვეყანას; როდესაც მოაწია დრომ რეფორმებისამ და რუსეთის განახლებისამ, იწყო კიდევ თავის მოქმედება დობროლიუბოვი; უმთავრეს რეფორმით, რასაკვირველია, უნდა ჩაითკალეს ბატონ-ყმობის გაუქმება, რომელსედაც უნდა დამყარებულყო ყველა სსვა რეფორმები. შეიძრა რუსეთის საზოგადოება და ლიტერატურა, გამოვიდა ასპარეზზე დობროლიუბოვი და შეიქმნა ხალხის დამცველი, იმ ხალხისა, რომელიც წოდენიძე საუკუნოების განმავლობაში იყო დანაგრული და მოკლებული ყოველ კაცობრიულ უფლებებსა. დობროლიუბოვი იტვირთა თავის-თავსე ამ ხალხის დაცვა და მთელი თავისი შრომა მოახდომა იმ ქადაგებას, რომ უბრალო ხალხი

შეადგენს უმთავრესს ძალას რუსეთისას, რომ ის მოკლებული არ არის კაცობრიულ თვისებებს და შეუძლიან წარმატება; დობროლიუბოვი ჭბოულობდა ხალხში მძლავრს, ცოცხალ ელემენტებს, რომელნიც შეადგენენ ხალხს კეთილ-დღეობის და წარმატების საძირკველს, დობროლიუბოვი ამტკიცებდა, რომ ხალხი უნებოთთ გარყვნილი და გონებით დაცემული არ არის, თუ მცა აღიარებდა მის სრულს უმეტრებას, სიღარიბეს და დაზარალებას. ის ამტკიცებდა, რომ ხალხს მოკლის ბედნიერი მომავალი და შეუძლებელია რაცნადა ხალხის დაცემას იმ ხარისხამდე, რომ მას არ შეეძლოს წინ-სვლა. დობროლიუბოვი სულ ამ აზრებს ჭქდაგებდა და ამტკიცებდა მათ სხვა და-სხვა თხზულებების გარჩევით; მან იპოვა «შუქი სინათლე» ხა ბნელის სამეფოში» ოსტროვსკის პიესებში, იმის დასამტკიცებლად, რომ ხალხში ღვივის განუქრობელი ცეცხლი კეთილისა. ხალხის უოკულისავე უბედურებას დობროლიუბოვი სდებდა ბრალად იმისი ცხოვრების გარემოებას; შესწავლეთ ხალხის სოციალური მდგომარეობა, ამბობდა დობროლიუბოვი, და ხალხი წინ წაიწევა და გაბედნიერდება, დობროლიუბოვის ქადაგებამ იპოვა ბევრი მომხრე და სწავლადობის გაუფრთხილები. დღესაც კი საგრძნობელია დობროლიუბოვის გავლენა ლიტერატურაში.

როდესაც შემოიღეს რეჟიმები, სხვა-და-სხვა წოდებებმა იგვალეს ადგილი, რადგანაც მათის ცხოვრების გარემოება შეიცვალა. ეკლას წოდებას მიეცა უფლება, ერთი-ერთიანკრთისაგან დამოუკიდებელი მდგომარეობა; ამის განსორცხელებისათვის საჭირო იყო, სხვათა შორის, ხალხის გონების გახსნა; ბატონ-უმობის დროს იგი წარმოადგენდა ოითქმის პირუტყვის გონებით, ესლა კი მას მიეცა თავისუფლება, და ამისათვის სა-

ჭირთ იყო განათლება. თავად-ახნაურობასაც წაერთვა გლეხი, რომელიც შეადგენდა მის ცხოვრების და კეთილ-დღეობის საშუალებას; მას უნდა ეფიქრა თავის მდგომარეობაზე და ცხოვრებასე, ტკიანი უნდა ეძუშავებინა და ამასაც დასჭირდა განათლება, ერთის სატყუით ატყუა დიდი გონებითი მოძრაობა; უგეგმა წოდებას უნდა მიეღო მონაწილეობა რუსეთის წინმსვლელობაში; თავად-ახნაურობის საუკეთესო ნაწილი შეადგენდა მაშინდელს ინტელიგენციას და იყო რევოლუციის მოძრაობის წინააღმდეგ უფრო განათლებულმა და ხალხის კეთილის მსურველმა განიზრახა რუსეთის საქმეებში მონაწილეობის მიღება და ხალხის წინ გაძღოლა.

აი, ამ დროს გამოვიდა ლიტერატურულ ხასიათსზე მსკერ-მეტყველი და დიდად ნიჭიერი მწერალი ვისარკევი, რომელიც შეიქმნა წარმომადგენელი თავად-ახნაურულ ინტელიგენციისა, რომელსაც აქამოდე არ მიეღო მონაწილეობა ხალხის წარმატებაში. ამისათვის ვისარკევს ლიტერატურაში დაერქვა «შემსანიებელი ახნაური.» ვისარკევა სულ სხვაგვარი იყო ქადაგება: წინააღმდეგ დობროლიუბოვისა, ის ამტკიცებდა, რომ ხალხში არავითარი ცოდნაა, მრთელი ულემენტი არ არსებობს, და ამის გამო მას თავის-თავად წარმატება არ შეუძლებია; ხალხი ნათელი არის სილატაეში, უმეტრებაში და გარყვნილია ბატონ-ფეოდალთაგანა. ვისარკევი ამტკიცებდა წინააღმდეგ დობროლიუბოვისა, რომ კატრინის ოსტროვსკის შეესაძინა ნამდვილი ტიპი არ არისო და არ დაერქმინა «სინათლის უქვი ბნელის სანთელი»; რომ გარყვნილი და უმეტარი წრე, რომელსაც გვიან ვახსოვს ოსტროვსკი თავის თხზულებაში ვერ აღმოზღვდა შეტოვასს და გაუწყენელს კაცსა; ესთქვათ,

რომ კატრინა იმისთანავე იყოს, როგორსაც ავტორი გვიხატავს, არც მასინ იქნება იგი ღამწარი სინათლისა.

მაშ რა ექვეყნება სალსა? ამაზე დასალოკებით შეძვედვას უხს გვამდევდა ვისარევი. ყოველი საქმე უნდა ივისრულს ინტელიგენციამ და ის უნდა შეუდგეს სალსის მდგომარეობის გაუმჯობესებასა. ქარხნის პატრონი, მღვდელი, დიდი და პატარა ჩინოვნიკი, ექიმი, ყველა უნდა შეუდგეს საზოგადო საქმეებსა, იმიტომ ვი არა, რომ ამას მოითხოვს მათი ხალხის წინაშე მოვალეობა, ან კაცობრიობის სიყვარულით, არამედ იმიტომ რომ ეს თვით მათივე პირადის ინტერესის საქმეა. მასინ არის კაცი ბედნიერი, თუ თისი მოძმენიც ბედნიერნი იქნებიან. მაგალითად თუ თქვენ ექიმი ხართ, თქვენ თქვენის კეთილ-დღეობისათვის უნდა ეცადოთ, კარგად შეასრულოთ თქვენი მოვალეობა; ეს თქვენ პირდაპირ დაგკამყვანებთ და სხვებსაცა; თუ თქვენ ქარხნის პატრონი ხართ, თქვენი ინტერესები მოითხოვს, რომ მუშებს კარგად მოეყვანათ, ჯანაგერი არ შეუმციროთ და კარგი საქონელი დაამზადოთ; მასინ მუშები უფრო წახალისდებიან, თქვენი ინტერესიც დატული იქნება, არც თქვენი სულ-ქვეყითნი იქნებიან დახვრულნი და წაგებაში და არც თქვენი მუშტრები. თქვენ, ინტელიგენციადამ გამოსული კაცი უნდა ცდილობდეთ თქვენის პირადების ზნეობით და გონებით შემუშავებასა. მასინ გაიგებთ თქვენ თქვენს ინტერესებსა და თქვენი ბედნიერებაც დამყარდება; და თუ ცალკე პირნი ბედნიერნი იქნებიან, მასინ საზოგადოებაც ბედნიერი იქნება, რადგან საზოგადოება ცალკე პირთაგან შენდება.

კაცის გონების უმთავრეს განმავითარებელ ძალათ ვისარევეს მიანხდა ბუნების მეტყველების შესწავლა და მისი გაგებუ-

ლებს; თვითონაც კი ხელი მოჭკიდა ამ საქმეს. ერთის სიტყვით პისარევი საღსის კეთილ-დღეობას ამყარებდა რიგინად გზებულ ეგოიზმზე, თავის-მოყვარეობაზე; დობროლიუბოკი კი სასოგადო გარემოებაზე და საღსის სოციალურ ყოფის შეცვლაზე.

კინ ადგა ამ ორს მწერალში ნამდვილს, სასარგებლო გზას? პრინციპიალურად ორივე მართალნი იყვნენ და ემსახურებოდნენ ერთსა და იმავე უარყოფილ მიმართულებას, თუმცა კი იდგნენ სხვა-და სხვა საფუძველზე. დობროლიუბოკის აზრი საღსზე, მის თვისებებზე, მისი სრული რწმენა საღსისადმი შეადგენს ისეთს ტექნიკურებას, რომელზედაც ეჭვის აღება შეუძლებელია, პისარევის ურწმუნობა საღსისადმი, რასაკვირველია, დიდი ცოდვას არა მარტო პისარევისათვის, არამედ მთელ იმ წოდებისათვის, რომლის წარმომადგენელი იყო იგი. მაგრამ, პისარევის აზრი პროგრესის უხეობით და გონებით შემუშავებაზე სწორედ სამართლიანი და სასარგებლო და აუცილებელიც არის, რომ ინტელიგენციამ მიიღოს მონაწილეობა სასოგადო და საქვეყნო საქმეებში; ისიც დიდად სასარგებლოა, რომ კაცს ყოველი სასოგადო საქმე და ინტერესი მიახსნდეს თავის საკუთარ საქმეთ, ინტერესათ და ისე შესტეოდეს გული სასოგადოებისა და საღსისათვის, როგორც თავის-თავისთვის.

დობროლიუბოკისა და პისარევის აზრები, რომ შეერთდნენ, დამყარდება შემდეგი ტექნიკურება: ყველა წოდებას უნდა მიეცეს ადგილი ქვეყანაზე და ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა კაცობრიობის წინ-სვლაში; უამისოდ ნამდვილი პროგრესი არ არსებობს და აი ამ უკმოდ-სსენებულ მოსაზრების ძალით ჩვენ არ შეგვიძლიან ვთქვათ, ვითომც პისარევის უარ-

მოყოფლობა ნამდვილ გზიდვან გადმოვიდა და მისმა მოქმედებამ კნებაც მოიტანა.

ზისარევის მოქმედებამ აღძრა საზოგადოებაში სიყვარული ბუნების მეტეოლოგიისადმი და შეითხველის გონება ნიადაგ მუშაობაში იყო იმის სტატების გაკლენის ქვეშ. ძართლადაც, ზისარევი ბევრს ახალ-გაზდას მოკიდების ხელი ბუნების მეტეოლოგიისათვის, რომელსაც დღეს საპატო ადგილი უჭირავს რუსეთის გონების მოძრაობაში. რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მეტეოლოგიას კაცობრიობის განვითარებისათვის, მიხედვით ყველა, ვინც გაიხსენებს, თუ როგორი მონაწილეობა მიიღო ამის შესწავლამ და გავრცელებამ საფრანგეთის დიდ-რეკონსტრუქციის დასრულების დროს.

ესაა მოკილავარაკოთ ზისარევის ზოგიერთი უკიდურესი აზრებზე, რომელთაც, «შინაური მიმომხილვის» ავტორის სიტყვით, იქონიეს ცუდი გაკლენა ჩვენი სახალ-გაზდაობის ერთს ნაწილზე. ზისარევის გადაჭარბებულმა უარ-ყოფამ იქამდე მიუშვა სადავე, რომ უარ-ჭყო თვით შუშკინის მოღვაწეობა ღმერთს შექსპირს ერთი კაი სივარა ამჯობინა» ამბობს შინაური მიმომხილველი. ამისთანა აზრების წარმოთქმა ზისარევისგან ძართლად-და უკიდურესობა იყო, მაგრამ როდესაც ჩვენ იმისთანა მწერალზე ვსჯით, როგორიც ზისარევი, დიდი მნიშვნელობა არ უნდა მივაწეროთ მის შეცდომებს, მეტადვე იმისთანებს, რომელთაც ხანგრძლივი გაკლენა არა ქქონიათ არც ლიტერატურაში, არც საზოგადოებაში. როდესაც ჩვენ ვლავარავობთ შრუდონზე და კანტზე, ჩვენ მსუადველობაში არ უნდა გვქონდეს მათი კაცის ღირსების დამამდაბლებელი აზრი ქალის დანიშნულებაზე; იმათ სხვათაგან იმდენი სარგებლობა მოუტანეს კაცობრიობას, რომ ამ გვარს უზადრეკს აზრს. შე-

იძლება სრულებით უურადღებს ან მიჰაქციათ. არც პისარევი-
წედ გგმართებს სჯა იმისი შეცდომების გვალობაზედ. კიმეო-
რებთ, მისმა შემცდარმა აზრმა იყო იუქად ჩაიარა, რომ 1880
წელს, პუშკინის იუბილეის წინა დღეებში, მხოლოდ ერთმა
რუსულმა გაზეთმა გაიმეორა პუშკინზე დასწლოებით პისარე-
ვის აზრი.

მართალია, პისარევი მეტად უწყალოდ ეპურობოდა პოე-
ტებს, მაგრამ მისი იმას აზრს დროს ან უთქვამს: «პოეზია
და სელფინება რა ჭკვიანს გაცის საქმეა». პოეტი პისარევის
აზრით,

მისთვის ან ძღუეს, რომ იმდროს ვით ფრინველმა გა-
ეგანმა,

ანა მარტო ტბილ ხმებისთვის გამოტყვისა ჩაქუჩად ცადა.

ჩვენს ლიტერატურაშიაც აზრის გამოუთქვამს ამისთანა
უშეკრი აზრი პოეზიაზე და სელფინებაზე, როგორცაც შინა-
ური მიმომხილველი პისარევი აწერს და ამის გამო აკტორი
ცოტა უსაუბლოდ მოტყვიდების ის, ცხარედ ამ სავანს. იქნე-
ბა ოთხიოდ-სუთიოდ პირი კი იყო ამ აზრისა, ისიც ლიტე-
რატურას გარეშე მდგომნი, მაგრამ მათზე ღაზრები ანა დირს.
არც ეს სხვა პისარევის თსხულებებიდგან ვითომც «მარტო
გლეხია ადამიანი და თავადი და ახსნაური კი ანაო.» ვინც გა-
ისხენებს იმას, რაც ზემოდა ვთქვი პისარევის მიმართულებ-
აზედ, ის უკუკვლად დაძეთანხმება. არც მაგითანა აზრი გა-
მთქმულა ჩვენს ლიტერატურაში და თუ ანსებობს მაგათ ნა-
აზრი რომელსაჲ წრეში, ეს პისარევის გაყლის საქმე ან-
აზრის, რადგანაც ჩვენს ლიტერატურას პისარევის გაყლის
ძლიერ ან დასტუობია. კიდევ ვამეორებთ—ის ცრუ-ლიბერა-
ლები, რომელთაც შინაური მიმომხილველი ჭვიცხავს, სახსენე-

ბელნიც არ არიან. რადგანაც ჯერ გზა არ გაუკეთავთ ლიტვა-რატურაში და სრული იმედია, რომ დღეის იქით უფრო ვერ გაიკეთებენ.

შინაური მიმომხილველი თავის წერილში ლაშარაკობს აგრეთვე ჩვენის ახალგაზდობის დანიშნულებასე და გვიხატავს მოკლედ იმ პროგრამას, რომელსაც იგი უნდა დაადგოს. სალხის კეთილ-დღეობისათვის უშიშრეულესი ჩვენი საქმე არის, აგტორის სიტყვით, ჩვენის «დაცემულის ვინაობის აღდგენა», «სხვა-საგანი ამაზე უსაჭიროესი, უძძიმესი არა აქვს საქართველს შვილს», «ყოველ ჩვენგანის მოქმედების საწყისად, საზოგადო საქმეებში, თუ ლიტერატურაში, მარტო ის უნდა იყოს, თუ ვინ რამდენად ასრულებს და მისდევს ამ ჩვენთვის მიუცდილებელს საგანს და გზას!» მაგრამ სანამ ამ გზას დაადგებოდეს, ახალ-გაზდობა, საჭიროაო რომ მან «ძირეულად შეისწავლოს ევროპიული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპიული გამოცდილება და ამ თოფ-ინარდით შეუდგეს ჩვენის ქვეყნის საქმეს.» ამ აზრების ჩვენ სრული თანახმა ვართ და გვსურს მსოფლოდ განვმარტოთ იგინი.

სალხის კეთილ-დღეობის მისაღწევად ბევრი რამ არის საჭირო; ერთის რაიმე საშუალებით ის ვერ მოიპოვება. ყველა უნდა მოუსვენრად მიიღტვოდეს ამ საქმისადმი, მაგრამ დრო და ვითარებაზე არის დამოკიდებული, რომელ საგანს მიუცტვება უშიშარტესობა. დრო წამოაყენებს ერთს, რომელსავე საგანს და ვიდრემდის ეს საგანი შესრულდება, მას უტვირავს შიშველი ადგილი. მეჩმე ვი გამოვა სტენასზე სხვა რომელიმე საგანი და სხვ. და სხვ. მაგალითად, დღეს უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ჩვენის ვინაობის დაცვას, ამიტომ რომ ამ საგანს ყოველი ქართველი, რა წოდებისაც უნდა იყოს იგი,

გმნობს და ელტვის: ყველა ლიტერატურული პარტიები (თუ
 კი არსებობენ ჩვენში) მაგ ნიადაგზე ძორიგდებიან. ვარდა ამი-
 სა ჩვენის ვინაობის დაცვა რომ საჭიროა ხალხის კეთილ-დღე-
 ობისათვის, ამას ყველა ადვილად გაიგებს. ისტორია გვასწავ-
 ლის; რომ იმ ხალხებს, რომელნიც კაცობრიობის წინ მიდიან,
 დაცული აქვთ თავიანთი ვინაობა, რომელიც შექმნილა მათის
 წარმატების ერთი მიზეზთაგანი. ჩვენთვის რომ საჭიროა, მა-
 გალითად, ჩვენის ენის დაცვა და მისთვის კუთვნილ მნიშვნე-
 ლობის მინიჭება ყოველ შემთხვევაში და დაწესებულებაში, ეს
 ყველასთვის ცხადია; ენა რომ შეადგენს ხალხის წარმატების
 ძალას. ესეც ნამდვილია. რომ საჭიროა ჩვენთვის ჩვენვე
 განვარდებით ყოველსავე ჩვენს საქმეს, ესეც ჭეშმარიტებაა,
 რადგანაც, როგორც გვასწავლის სხვა ხალხების ცხოვრება,
 უამისოდ შეუძლებელია ნამდვილი პროგრესი. ყოველს ჩვენს
 უბედურებას, მაგალითად, ხალხის გაუნათლებლობას და მის
 სიღარიბეს აქვს მტკიცე კავშირი ჩვენის ვინაობის დაჩაგრუ-
 ლობასთან

მგონი, ყოველივე რაც ვისთქვი, დღესეღ უფრო ცხადია.

ჩვენი ასალ-გაზდობა, რომელიც უმალეს სასწავლებლებში
 იმყოფება. უნდა შეიტყუროს მეცნიერებით, ფილოსოფიურ გა-
 ნათლებით, ვრცელის თეორეტიულ განვითარებით, რომ მას
 შეეძლოს ცხოვრების მოკლეხანა კავშირის გაგება და ჩვენის
 სამშობლოს შესწავლა.

ამ წინადადებას ჩვენ უფრო ვრცლად გავარჩევთ და ამი-
 სათვის არ შეგვიძლიან არ გადავკალოთ თავად იმ სტატიებს,
 რომელნიც დაბეჭდილნი იყვნენ წელს «დროებაში» და «იმე-
 დის» მეზუთე ნომერში («თავიღვან თუ ბოლოღვან?» გ.
 უიფშიძისა.) ჩვენ მოკლედ განვიმეორებთ იმას, რაც ითქვა

«დროებაში» და უფრო ვრცლად უიფუძის სტატის, რადგან
ნაც ეს სტატია შეასნიშნავს სხვა-და-სხვა თავის თავისებებით

*
* *

ერთმა ჩვენმა ახალ-გაზდამ, ს. ლ — ემ წამოსთქვა «დრო-
ებაში» ის აზრი, რომ უძველეს სასწავლებელში მყოფს ჩვენს
ახალ-გაზდობას შეუძლიან სწეროს ჭიგიენური დაწიგებები, ის-
ტორიული, ეკონომიური და ეტნოგრაფიული ბროშიურებში
ჩვენის ცსოვრების შესახებ. მე გუბარებ ს. ლ — ს და ვუჭ
მტკიცებდი, რომ მკ გვარ ბროშიურების წერა ჩვენს ახალ-
გაზდობას არ შეუძლიან; რომ ჩვენი ახალ-გაზდობა იმდენად
ვერ იცნობს თავის ქვეყნას; რომ მას არა აქვს საშუალება
თავალ-ყური აღევნოს თავის ქვეყნის საქმებს და ჩვენს ენაზე
არ არსებობს მეცნიერული თხზულებები; ის გი, რაც დ-წი-
რილია ჩვენის ქვეყნის შესახებ სხვა-და-სხვა ევროპიულ ენებ-
ზე, ძნელად მისაწდომია ჩვენის ახალ-გაზდობისათვის. ჩვენ
ვადვიარებდით იმ მწუხარქ მოვლენას, რომ ჩვენი ახალ-გაზ-
დობა არ იკვებება გონებით მშობლიურს ნადავზე. ნაცვლად
ბ. ს. ლ — ს შროგრაფიის ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ახალ-გაზ-
დობას შეუძლია გააცნოს ჩვენს საზოგადოებას რუსეთის ეკო-
ნომიური და სოციალური ცსოვრება, მისი ლიტერატურა, მის-
თვის რომ ჩვენის ქვეყნის ბედ-იღბალი მჭიდროდ არის შე-
კავშირებული რუსეთის წამტებასთან, ამ შრომას ვალთ
ვსდებთ ახალ-გაზდობას იმიტომ, რომ ეს ვადვილებ თავის
მდგომარეობის წყალობით და ამას ვარდა ჩვენს ლიტერატუ-
რას ბეკნი არა გაუგეოებისა, რომ ჩვენი საზოგადოება რუ-
სეთის ცსოვრებასთან გაეცნოს. ჩვენ ვამბობდით, რომ როდე-
საც ახალ-გაზდობა შეიჭურება მეტეორებით და თეორიული
განათლებით, მაშინ მას შეუძლიან სკლი მოჭიდოს ჩვენის

ქვეყნის მეცნიერულად შესწავლასაც ღ იმავე მეცნიერულ თხზუ-
ლებების წიკსაც.

მას სარქვე ეს არის, რის გაკეთება შეუძლიან ახალ-გაზ-
დობას სტუდენტობის დროს და ჩვენ მას დავაკავლეთ ისეთი
რამ, რაც უფრო ეადვილება, რაც იმის გონებისთვის უფრო
სასარგებლოა და რასაც ქვეს კავშირი ჩვენს ცხოვრებასთან.

აი, მოკლედ საგანი ს. ლ—ის და ჩვენის ბასისა.

ესლს თითქმის იმავე საგანზე, რომელზედაც ჩვენ ვლს-
შარაკობდით, ბ. გ. უიფშიძეს დაუბეჭდია «იმედში» თავის
ძრისხანე და მედიდურობით სავსე სტატია, რომელზედაც ჩვენ
უფრო დაწვრილებით მოვილსშარაკებთ. რომელსაც ჩვენ ეს სტა-
ტია წავიკითხეთ, თვალ-წინ წარმოგვიდგა უსუსური ქმნილება,
რომელსაც რღაცა აზრები თავში შეუშვია და სხვის ღრეჭით
და მანჭკით, ჯიბეში ხელებ-ჩაწყობილი, წარბებ შეჭმუნზილი
სჯის მედიდურად ღ ლანძღვა-გინებით ყველსზე, ვინც კი იმის
აზრების თანახმა არ არის. თუ კი რამე აზრი სადმე ამოუ-
კითხნია და რაიმე ქაკტი შეუტყვია, ყველს თავის საკუთარ
ტვინის ნაწარმოები ჭკონია. თქვენც რომ იმისთანს აზრები
წარმოსთქვით, მხედველობაში არც-კი მიიღებს და ზემოდგან
დაგიწყებთ ყურებას. აი, ამისთანს ვაყ-ბტონს წაუკითხვს ჩვე-
ნი სტატიაები «დროებაში», განრისხებულს იმსზე, რომორ თუ
ვინმემ გაბედა რსამეს დაწერს იმ საგანზე, რომელზედაც მე ბე-
ჯითი და ჭეშმარიტი აზრები შემიდგენიაო. დაუწერია აჭრე-
ლებული რუსულის და ლათინურის ანდაზებით და სიტყვებით
სტატია იმავე საგნის შესახებ. ამ ვაყ-ბტონს წარმოუდგენია,
ვითომ ჩვენ არავითარს მნიშვნელობას არ ვაძლევთ ჩვენის
მშობლიურ ნიადაგის შესწავლას, ვითომც ჩვენ ოცნებასაც კა
კუშლიდეთ ამასზე ახალ-გაზდობას სტუდენტობის დროს და

მარტო ქელტონისტობას და კორკისონდენტობას ეკვალბდეთ. ეტყობა, ბ. ვიუშიძე წიგნში კი იუფრებოდა, მაგრამ ამონაკითხის გაგება ვერ შესძლებია. ჩვენ მხოლოდ იმაზე ვლანხანაკობდით, თუ როგორ მხელდა ასალ-გაზდობისათვის რუსეთში შესწავლა ჩვენის სამშობლო ნიადაგისა და როგორ უფრო ადვილია შეისწავლოს მეცნიერება, რუსეთის ცხოვრება, ლიტერატურა, და გააცნოს იგინი ჩვენს საზოგადოებას, ბ. ვიუშიძეს კი წარმოუდგენია, ვითომ ჩვენ წინააღმდეგი ვიყოთ ჩვენი ასალ-გაზდობისაგან ჩვენის ქვეყნის შესწავლისა არა მარტო რუსეთში, არამედ სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც.

რა არის ჩვენი ასალ-გაზდობისათვის უსაჭიროესი საგანი ცხოვრების ველზედ გამოსასვლელად? რასაკვირველია, სინდისიერად თავის სპეციალურ საგნის შესწავლა, ვრცელი თეორეტიული განვითარება და ჩვენი სამშობლო ნიადაგის შესწავლა ყოველივე მხრით. რას მოჰკიდოს ხელი ასალ-გაზდამ ამ სამ საგანში უმაღლეს სასწავლებელში ყოფნის დროს? ყველა ეს საგნები მისთვის ერთნაირად საჭიროა არა, მაგრამ შეუძლიან თუ არა სამივეს ერთსა და იმავე დროს კამოკიდოს, ან და რა უფრო ეადვილება რუსეთში და რომლის შესწავლა და შექნას სად უფრო მოსახერხებელია იქ, რუსეთში, თუ აქ, ჩვენს სამშობლოში? სპეციალურ საგნის შესწავლა რომ საჭიროა, ამის წინააღმდეგ ვერავინ ვერავინ იტყვის და მის შესწავლას მოითხოვს თვით ასალ-გაზდობის მდგომარეობა; ვრცელის განათლების და განვითარების შექნაც რომ აუცილებლად საჭიროა, ამისაც ეტყვი არ არის, რადგანაც უამისოდ კაცი ცხოვრებაში უბრალო მოხელე შეიქნება, ვერავითარს თვალ-საჩინო გავლენას ვერ იქონიებს თავის სამშობლოს საქმეებზე და ვერც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჩვენის

საღვთის მოთხოვნადას გაიგებს. ამებზე ბ. ყიფშიძე უსათუოდ უნდა დაშეთასხმოს და მიზანსუროს თავისივე სიტყვებით: «მეცნიერებით შეჭურვის საჭიროების თითქმის გინე იყოს წინააღმდეგა»; მაგრამ მეორე გვერდზე აცხადებს შიშს, კანთუ «მეცნიერებით შეჭურვილმა ბოკლი, მილი და სპენსერი ისე აურიოს ერთმანერთში, როგორც დომსალიო.»

საიდგან წარმოსდგება ბ. ყიფშიძის ამისთანა შიში და წინააღმდეგობა? სწორედ სამწუხაროა, როდესაც საღვთისადა შიშს აცხადებს მეცნიერების შექმნას; ან და სადაური მეცნიერებით შეჭურვილია, რომლის ტვინში ბოკლი, მილი და სპენსერი ერთად ვერ მოთავსებულა? ამისთანა ვაჟ-ბატონი, დაწმუნებული იყავით, თავისთავისადა ვერაფერს გააკეთებს რამცთუ სამშობლოსათვის იზრუნოს.

რამე სპეციალურ საგნის შესწავლა და ვრცელის განვითარების შექმნა აუცილებლად საჭიროა; ამით შეიარაღებული საღვთის-გაზდობა უფრო ადვილათ გაიგებს ჩვენის ქვეყნის მდგომარეობას და მოთხოვნადას; მათი შექმნა რუსეთში უფრო ადვილია, ვიდრე ჩვენში. ჩვენში კი სამშობლო ნადავის შესწავლა უფრო ადვილია და რუსეთში მეოფლობის დროს სამის კურდღლის ერთ და იმავე დროს გამოვიდობა ხელ არ მისცემს საღვთისადას.

რაც შეეხება თხზულებებს, სხვა-და-სხვა ევროპიულ ენებზე დაწერილებს, ამასზე მე იმ აზრისა ვარ, რომ როგი მათგანი ხელ-მიუწვდენელია საღვთისათვის, როგი კი სრულიად უვარგისი და გამოუდგება მისთვის; ბ. ყიფშიძე ბძანებს, რომ «ასლად გამომსტარი გმირნი» სრულიად არ ფიქრობენ თავის ქვეყნასზე და მიგვითითებს მინასროვის კატალოგზე კავკასიის შესახებ დაწერილ თხზულებათა; თუ ეს ვა-

ტალღი გაღუთვალეუბია ყიფშიძეს, უნდა იცოდეს, რომ ბუფრი თხსულები, რომელნიც საჩვენები არიან მიანსაროვის კატალოგში, გამოსაყენებია ვითარცა მასალა და ისიც მუცნიერისთვის, რომელსაც შეუძლია გააჩიოს მათი ღირსება. ან და ჩისთვის უიფშიძის ბ. ყიფშიძეს, ვითომ «ახლად გამომსტარ გმირებს» არ ენახათ მიანსაროვის კატალოგი და არ გაძიებინათ იგი? ან რომელი ძველად გამომსტარი გმირი ბრძანდება, რომ ეგრე მძლვობიდან დაგვეჭქრის და რა უფლებით სჯის ისე მედიდურად სსვებსედ? ბ. ყიფშიძემ დაგვიხატა ჩვენის ახალ-გაზდობის აღზრდის შეუნატრეა სურთი, მაგრამ ეს ჭეშმარიტება პირველად არ არის გამოთქმული თვით ჩვენს ლიტერატურაშიაც იმ თაობისაგან, რომელმაც მიიღო ერობიული განათლება და ამის წყალობით გაიგო თუ რა სენი გვაწებს ჩვენ ქართველებს უზომოდ. სტდობიან ისინი, რომელნიც არავითარს მნიშვნელობას არ აძლევენ ჩვენს 15—20 წლის ლიტერატურას; ამ ლიტერატურამ გააკებინა ჩვენს საზოგადოებას ჩვენის ვინაობის დაცემა და ჩაუნერგა მას მართალი აზრები დედა-ენის მნიშვნელობაზე. ამ სტრიქონების დამწერს ახსოვს ის დრო, როდესაც ქართველები ქართულს დაუბრუნეს თავილობდენ და პირველად «დროება» გამოვიდა. სამარცხენოდ მაინც მათი დაბრუნება, მარტო იმის გამო რომ ქართული გაზეთიყო. ჩვენმა ახლმა ლიტერატურამ აუხილა თვალი საზოგადოებას და გააკებინა თავისი მდგომარეობა.

მართალია ჩვენის ახალ-გაზდობის უმეცრობამ, ცხოვრებაში შესვლისათნავე, გზას გადაუხვია, მაგრამ ამ სამწუხარომოკლენის მიზეზი მარტო მშობლიურ ნიადაგის უცოდინარობა და სხვა უცხო ნიადაგზე აღზდა არ იყო. ეს გარემოება

ერთი მიზეზთაგანია; მართლაც დააკვირდით სხვა ხალხებს, რომელთა სხალ-თაობა იზღება მშობლიურს ნიადაგზე, და იქაც ბეჭისა ნახავთ გზა-გადანგეულებს. ამ გარემოების მიხედვება ცრუ-განათლება, მოუძაღებლობა.

მშობლიურ ზნის, ჩვეულების შესწავლას და შეთვისებას აქვს მნიშვნელობა, მაგრამ აქაც გადაუჭარბებია ბ. ყიფშიძეს. ტიპიურ იმერელს მისთვის ერთი ამ არაკთავანი უაძვია, რომელიც ზნეობით სიბილწეს და გარყვნილობას გვასწავლის; ანდრია მოციქულმა მსოფლოდ მაშინ მოიგო შეგრელების გუჯი და დაიწყო ქრისტიანობის ქადაგება მათ შორის, რომელსაც მეგრული «ჭეურტული» დცხენების ჰარვა ისწავლავს» (გვ. 112). მეგრული ჭეურტული რომ უსწავლია, ეს მოსაწონია, მაგრამ ქურდობისა კი რა მოგახსენოთ. შესაფერი არავი ვერ მოუყვანია ბ. ყიფშიძეს და მე დარწმუნებული ვარ, რომ თვითონვე არ მოიწონებს ამ არაკის შინაარსს, თუ ვაცარას დაფიქრდება.

ბ. ყიფშიძეს ძალიან შინებია, როგორცა სჩანს, კორეს-პონდენტობისა და ძეგლტონისტობისა და ბძანებს რომ ეს ხელობა გააწვრილმანებს ლიტერატურას, შეახერხებს მწერლების ლიტერატურულ ნიჭის განვითარებასა; ამ შრომას უნდა დრო, რომელიც «არა აქვს სხალ-გაზდას, შებოტკვილს სპეციალურის საგნებითაო.» თუ დრო არა აქვს სხალ-გაზდობას ამ შრომისათვის, მაშ როგორ უნდა შეისწავლოს უფრო შრომის მოძღვარი და ძნელი საგანი, როგორცა არის რუსეთში ჩვენს სამშობლო ნიადაგის შესწავლა, ან რისთვის ეშინია. კორეს-პონდენტობის და ფელტონისტობისა, რომელნიც შეადგენენ ერთს განყოფილებას ლიტერატურისას.

რა უნდა უაძვოს რუსეთში მეოფემ სხალ-გაზდობამ ჩვენს საზოგადოებას. რუსეთზე იმისთანა, რაც ჩვენთვის საინტერე-

სა იქნება, როდესაც ჩვენი ქვეყნის სენი და მოთხოვნი-
ლებს არ იცის სახლ-გაყიდობამა? ამასიტ შემიძლია ბძანდება
ჩვენი ავტორი. ჩვენმა სახლ-გაყიდობამ კარგად იცის, როგორ
დაჩაგრულია ჩვენი ეროვნება, როგორც დევილია ჩვენი სამ-
შობლო ენა და ამის შესახებ ურიგო არ იქნებოდა, რომ გა-
ეცნოთ ჩვენთვის საუკეთესო რუსეთის მწერლების აწიები, მა-
გალითად კოსტომაროვისა და შიშინისა, გამოთქმულნი «ე-
როპის მოამბეში.» სხვა-და-სხვა ეროვნებთა დანიშნულე-
ბაზე და უფლებასე. ჩვენმა სახლ-გაყიდობამ ძალიან კარგად
იცის, თუ რა არის ჩვენთვის კლასიკური სისტემა განათლე-
ბისა, და მგონი ურიგოს არ იზამდა, გაეცნო ჩვენის საზოგა-
დოებისათვის რუსული ლიტერატურის აწიები იმავე საგანზე.
სხვასაც ბევრს მაგალითებს მოვიყვანდი, მაგრამ, მგონი ესე-
ნიც კმარან. ბ. ყიფშიძე ბძანებს, რომ «ესლანდელს დროში არა
გვცაღიან იმისთანა შრომისათვის, როგორც არის მაგალი-
თად რუსეთის ცხოვრების და ლიტერატურის შესწავლა და მი-
სი გაცნობა ჩვენი საზოგადოებისათვის, ე. ი. იმისთანა შრო-
მისათვის, რომელსაც დიან სათვალ-ჩინო კავშირში არა აქვს
ჩვენს ცხოვრებასთან.»

ამისთანა სიტყვების წამოხროლა ან უცაბედად მოსვლიან
ბ. ყიფშიძეს და მაშინ თითონვე დააკვირდეს და თითონვე უმა-
სოხოს თავის-თავს, ან მოსვლია უმეტრებით და ამ გარს
უმეტრებს საშველი არა აქვს-რა და ვერც ჩვენ შევიძლებთ მის
განუგონებას.

თელავის სემინარია და პირველი მისი რექტორი
ბაიოზ ნაცვლიშვილი.

(დასასრული *)

მონასტრების დაწესება. საღვთის განათლებაში და განსაკუთრებით სასულიეროს წოდებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ მონასტრებს საქართველოში რუსეთთან შეერთების დრომდე, ე. ი. 1800 წლამდის. ესენი იყვნენ განათლების უზირველესნი ადგილნი საქართველოში თითქმის მაშინაც, როდესაც რუსეთის მიზამკით, ქათალიკოზმა დიდმა ანტონმა განსწავლეს სემინარიები თბილისში და თელავში; ამით არც ესლამოგლებით თავის შესაფერწი ღირსება და ჰატიკი. ამისთანავე განსწავლეს იმპერატორიცა ეკატერინე მეორეს დაეწესებინა მონასტრები მოზდოვის ეპარქიაში გაიოზის იმედით. გაიოზმა თავის მსრით ეს მინდობილობაც შესწრულა წესიერად: გაიოზმა ჰირველად დააფუძნა ფერის-ცვალების მონასტერი. ამ საქმეში ძლიერ ესმარებოდა და სელს უწყობდა ვენერაღ-გუბერნატორი გუდოვიჩი ეკატერინე მეორის ბრძანებით. ეკატერინეს აზრით ამ მონასტერში, როგორც სსკებში, უნდა ესწავლებინათ ყმაწვილებისთვის «საღმრთო-წერილი და ცხოვრებაში გამოსადევი ხელოვნობა» თუძცა ეკატერინემ მო-

*) «ივერია» № 8, 1881 წ.

ნასტრებს ეს პირობა დაუდო, მაგრამ ეს წესი ივერის-ცვალებების მონასტრის შესახებ დროთა და გარემოებათა მიხედულობით, უნდა შეცვლილიყო. ამასვედ გავლენა აქონია მოზღვროკში სკოლის გახსნამაც, რომლის დედა-ასრი განათლების მსახურება უნდა ყოფილიყო და მასთანამე მამათ მონასტრებს საზოგადოდ და ივერის-ცვალებისს განსაკუთრებით ამისთანა მოვალეობა — განათლების მსახურება შეუძლებულად. ამ მონასტრის პირვანდელი განზრახულება — სწავლა ემსწიელებისს — შეუწყვალა იმ გარემოებამაც, რომ სასწავლების მქადაგებულთ — მისსკონერებს სამუდამო სადგომი არა ჰქონდათ. ეს ივერის-ცვალების მონასტერი უნდა ესლას, ამ საჭიროების მიხედულობით, გამხდარიყო მქადაგებულთა საკანად, სადგომ სახლად. ამ შემთხვევაში განზრახულება და საშუალებანი ერთმანერთს არ ეწინააღმდეგება, არამედ ერთი მეორეს ემსახურება, ერთის საჭიროებას და მოთხოვნილებას მეორე აკმაყოფილებს.

ივერის-ცვალების მონასტერი დაფუძნდა გაიონის მიერ 1797 წელს და აშენდა ქალაქ გარეთ თურგის ნაპირზედ, მახლობლად ესლანდელის სასაფლავის ეკლესიის წმ. წისასწარმეტყველის ილიასი, რომელიც იყო სამონასტრო ეკლესია. ამ შენობის ნაწილს შეადგენდა ფიცრული, ორ-სართულიანი სახლი, რომლის დერეფანი უყურებდა თოვლით შემოსილ კაკასის მთებს. ამ სახლებში თვით გაიონი სცხოვრობდა ზაფხულდობით, როგორც საზაფხულდო სახლში. აქვე სცხოვრობდენ წინამძღვარი და კრებულნი მონასტრისს. ესენი იღებდენ ჯამაგინს მონასტრისთვის გადადებულ 300 მანეთიდაჲ. მონასტრის ეზოში იყო საცხოვრებელი სახლები აქ მოსამოსხურე პირთათვის და მათს ხალხ იყო გაშენებული კენახიც.

დედათ მონასტერი, ფერის-ცვალების მონასტრის და-
 ნიშნულება, როგორც მოკისსენეთ, თუძცა იმაში მდგომარე-
 ობდა, იმპერატრიცის აზრით, რომ ეს, სხვათა შორის, ყო-
 ფილიყო სწავლა-განათლების გამაგრებლებლად, მაგრამ მოცი-
 ლეთ ამ საქმეში, როგორც შეგნიშნეთ, გამოჩნდა მოზღვრის
 სკოლა; გასხილი გაიოზის მიერ. ესეთივე საქმე, ე. ი. სწავ-
 ლა-განათლების გავრცელება ჭქონდა დანიშნული თვით იმპე-
 რატრიცისაგან დედათა მონასტრისაგ და ეს დანიშნულება ამ
 დაწესებულებასა არც შესცვლია, რადგან ამას ისეთი მოცილე
 არ გამოხენია, როგორც გამოუჩნდა ფერის-ცვალების მო-
 ნასტრის, ე. ი. სკოლა საკუთრად ქალებისთვის სხვა არ და-
 წესებულა ამ დედათა მონასტრის გარდა. იმპერატრიცის აზ-
 რით, ამ მონასტერში უნდა აღზრდილიყვნენ ქალები, რომე-
 ლთაგ შეესწავლათ საღმრთო-წერილი და სელოსნობა, ცხოვ-
 რებაში გამოსადეგი, და ჭქონდათ აქვე ადგილი იმ უმოწალე
 ქორიებს, რომელნიც სელს შეუწყობდენ ქალების აღზრდას.»
 ამ ბრძანების მისედულობით, დედათა მონასტერი, როგორც
 მამათა მონასტერი, უნდა შერიცხულიყვნენ მეორე სარისსოვან
 მონასტრებად; მაგრამ უწმ. სინოდის ბძანებაში, გამოცემულ-
 ში გაიოზის სასკლობაზედ, არც ერთის სიტყვით არ არის მოხ-
 სენებული დედათა მონასტერი. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ,
 რომ დაფუძნება დედათ მონასტრისა და გამოჩენა საშუალება-
 თა მისის შენახვისთვის დამოკიდებული იყო შემდგომ დრო-
 ზედ და კეთილ საიმედო გარემოებაზედ. მართლაც ამისთანა
 გარემოება და დრო ჩქარა დაუდგა მონასტრეს, რადგან გა-
 მოუჩნდა აშენების ღონისძიება. აი რა იყო ეს ღონისძიება:
 გაიოზის მისვლის შემდეგ მოზღვრეში, მთილამ მოვიდა ერთი
 რიგობა ოსებისა დასასახლებლად თერგის გასწვრივ. მათთან

მოასვენეს სატი ივერიის ყოვლად-წმიდის ღვთის-მშობლისა, განთქმული სასწაულთ-მოქმედებითა. ამ სატზედ ხალხს თავისი გარდამოცემა მტკიცედ ჰქონდა დატული. გარდამოცემის მიხედულობით, ეს სატი თვით თამარ დედოფალმა გამოუგზავნა ოსებს, ჯილდოდ იმისა, რომ ამათ მიიღეს ქრისტიანობრივი სარწმუნოება. მასხადაძე ოსებსა და სხვა მთის ხალხის განათლება ქრისტიანობრივ სარწმუნოებით ეკუთვნის ქართველებს. ამასვე გვიმტკიცებს ჩვენი ქართლის-ცხოვრებაც. იმ ტამარს, რომელშიაც ესვენა აღნიშნული სატი, თუძცა ორჯერ მოეკიდა ცეცხლი, მაგრამ ორჯერვე ეს სატი უვნებლად დარჩა. გზასედაც და მოხდოკშიაც ამ სატს ბევრს საკვირველ-მოქმედებას მიაწერდენ. მთიდან ახლად ჩამოსული ოსები დაბანაკდენ თავიანთ წმიდა სატით ქალაქის მოსაკაღში, სადაც სცხოვრებდენ მოქრისტიანებული ოსები და ჩერქეზები უზახებთან ერთად. რომელსაც მღვდელ-მთავარმა გაიოზმა შეიტყო მოსვენება გამოჩენილის მთის ხალხთა შორის ღვთის-მშობლის სატისა, გამოასვენა ქალაქიდან ჯვარი, გადაისადა წინაშე მისსა ჰარკლისი, წაიღო და დაასვენა იგი საკათედრო სობორში და მით მისცა მას საპატრიო ადგილი სამუდამო სადგომად, როგორც ამას თუქრობდა გაიოზი. მაგრამ გაიოზს წარმოუდგა, რომ ღვთის-მშობელმა საკუთარის სასწაულთ-მოქმედებით აცნობა თავის სურვილი — იმყოფებოდეს ქალაქს გარეთ, იმ ადგილას, სადაც ის დაასვენეს და გაატარა დამე ოსების ურემში. მღვდელ-მთავარმა საჩქაროდ გააკეთა ამ ადგილას ნიში და დაასვენა შიგ სატი, ხოლო ამ ადგილის გარემომო მცხოვრებთა (ლოუკასკოის სტანციის უზახებს) ნება მისცა, მოამზადონ მასალა ასაშენებლად ნიშის ალაგს ტაძრისა. ოსებმა, ჩერქეზებმა და უზახებმა თვით მოიტანეს შენო-

ბისთვის საჭირო სე-ტეე; იოლო ნებაყოფლობით შემოწირულ და მოკრეფილ ფუფით გაიოზმა ააშენა ეკლესია; გაამშვენა შიგნით — გარედამ და აკურთხა ღვთის მშობლის მიძინების სახელობაზედ 1797 წელს. აი ამ ეკლესიის სიასლოვეს იყო დაფუძნებული «ღვდათა მონასტერი მიძინებისა.» ჩვენამდის მოაღწივა მიძინების ეკლესიისა და სამონასტრო შენობათა აღწერამ, შედგენილმა 1800 წელს. ხატსა აქვს სიგძე ერთი არშინი და შვიდი გოჯი, მხატვრობის იერი არის ქართული. მარცხნივ გვერდზედ ხატს აქვს ქართული წარწერა.

ოსეთის კომისია. კომისიის წევრებად იყვნენ მომეტებულიად სემინარიისი გურას-შესრულებულნი. მაშინდელ დროში მსწავლეული მღვდლები. როდესაც გაიოზმა დაიჭირა საეპარქიო კათედრა და გახდა მეუფროსედ კომისიისა, თითქმის სულ სხალი წევრებიდამ შეადგინა კომისია. მაგრამ დროთა ვითარების მიზეზით. ესენი დიდხანს არ რჩებოდენ ამ ადგილზედ. მღვდელმა ივანე ანდრეევმა (ოსმა) იმსახურა აქ მხოლოდ ხუთი თვე. 1798 წ. გაიგზავნა ინგუშებში სასარებისა საქადგებლად მღვდელი სტეფანე გავრილოვი, მაგრამ მეორე წელს მოჭკლეს მთებში. მღვდელ-მანაზონი ექვთიმე და მღვდელი წაქარია გასილიკვი (ქართველი), აკურთხნენ 1799 წ. და მათთან მთავარ-დიაკონი ჩერქესისოვი უნდა გაქცეულიყვნენ ოსეთიდან იმ მიზეზით, რომ მათ დაეცნენ ყაზაღოელები. აქედან სხანს, თუ რა საფრთხეში იყვნენ სასარების საქადგებულნი მთებში.

ყიზლარის მონასტრის განახლება. გაიოზი მოხლოების გარეშემო ცდილობდა მხოლოდ მონასტრების აშენებას. ის ცდილობდა გადაკეთებისა და გასემშვენებისა ყიზლარის მონასტრისა. ამის ფიცრული შენობა აქამდის იყო დაძველებული

და დამახუნებელი, რომ წასაქცევად ემზადებოდა. მონასტრის ეკლესიაში იატაკი უნდა გამოცვლილიყო, კედლებს უნდა ბიქსში წასმოდა. გაიოზს უნდოდა, რომ მონასტრისთვის, თიფ-რულის სასწავლის მაგიერ, აქშენებინა ქვით-კირისა. და ქვით-კირისაკე სამრეკლო დაედგა. ამ შენობისა და გადაკეთებისათვის გარკებულნი იყო მოიჯარადრესთან, რომელსაც უნდა მოეტანა, რამდენიც დასჭირდებოდა აგურის, კირის. ხე-ტყე, რკინეულობა და სხვ. მაგრამ გაიოზს იმდენი ხანი აღარ დასცალდა მოზღოვის ეპარქიაში, რომ ეს განზრახვაც შეესრულებინა.

16 ოკტომბერს 1799 წელს გამოცა უწ. სინოდის ბრძანება, რომლითაც მოზღოვის ეპარქია გაუქმდა და შეუერთდა ასტრახანისას, ხოლო მღვდელ-მთავარი გაიოზ გადაყვანილ-იქმნა ახლად გახსნილს სარატოვისა და პენზის კათედრაზედა. რა იყო მიზეზი მოზღოვის ეპარქიის ასე საჩქაროდ (1793—1799) გაუქმებისა, რომელიც იყო გახსნილი განსაკუთრებულის განზრახვით? სინოდის ბრძანებაში ამის მიზეზად შემდგომი საბუთებია მოხსენებული: ეკლესიათა მცირე რიცხვი და ახალი განყოფილების რუსეთის ეპარქიებისა გუბერნიის განყოფილებათა მიხედულებით, ე. ი. გუბერნიების და ეპარქიების სამხლკრები ერთი და იგივე უნდა ყოფილიყო. მართლაც 1799 წ. ახლად გაიხსნა შვიდი თვით-მდგომარე ეპარქია, რომელნიც ეკლესიების რიცხვით მიხედულებით გაცილებით სჯობნიდნენ მოზღოვისას; ხოლო ასტრახანის ეპარქიაში, შემდეგ განშორებისა მისგან სარატოვის ეპარქიისა, ორმოცზედ მეტი ეკლესია აღარ დარჩომილა.

მაგრამ მოზღოვის ეპარქიის გაუქმებასუდ სხვა გარემოებათაც იქონიეს გავლენა რუსეთის განიზრახსა მართლ-მადი-

დებლობითის ქრისტიანობის გავრცელება მთის ხალხში, რომელსაც ის ვერ იმორჩილებდა; როგორც სხვა თავის ქვეშევრდომ ტომებს. ისინი ხშირად მთავრობის წინ თვალთმაჭურვად იქცეოდნენ, მტრობდნენ და სდეკნიდნენ ერთი-მეორეს. სასარების მჭადგებელს ცალი ფეხი სამარეში ედგა. ამ აზრის დამამტკიცებელი საბუთები ჩვენ ზეგით მოვიხსენეთ, როდესაც ვსტკვით, რომ ერთი მათგანი მთებში მოჭკვლეს, ხოლო სხვანი გაიქცნენ ყაზარდოელებისაგან თავის დასაცვლად. ამის შემდეგ თხუთმეტის წლის განმავლობაში მთიულეებში მოისპო ქადაგება სასარებისა. ეს საქმე მხოლოდ მასშინ წარმართა, როდესაც მთავრობამ მთიულეების განმანათლებელთა ხელმძღვანელებს ანუ მმართველთ ადგილი უცვალა. თხუთმეტის წლის შემდეგ ეს საქმე მიანდევს თბილისში მოსახლე პირთ, როგორც უფრო მცოდნეთა და გამოცდილთ ამისთანა საქმეში. მირიან მეფე, თამარ დედოფალი, თეოდორაჲ მეორე და ირაკლი მეორე იყვნენ ამ საქმის დამწყობნი და დამფუძნებელნი და ისევე იმათ საქმეუთქო. ქალაქიდან უნდა გავრცელებულიყო და გაფენილიყო მთიულეებში ნათელი ქრისტიან საწმინდეებისა.

მოზდოკის საეპისკოპოზო კათედრის გაუქმებასთან გაუქმდნენ აგრეთვე ზოგიერთი სხვა დაწესებულებანიც. გაუქმდა მაგ. კონსისტორიის, მონასტრები ფერის-ცვალებისა და მიძინებისა. კონსისტორიის საქმეები გადაეცა ზოგი ასტრახნის კონსისტორიის, ზოგი ფიზლარის სასულიერო სამმართველოს. ფერის-ცვალების მონასტრის ქონება გარდაეცა ფიზლარის მონასტერს, ხოლო თვით მონასტრის სახლებში იმავე წელს დაფუძნდა სასულიერო მმართველობა. მიძინების მონასტრის წინამძღვარი ქალი და მასთან სამი მოლოზანი გადავიდნენ ასტრახნის ხარებობის მონასტერში; თვით მიძინების მონას-

ტრის ტაძარი დაჩნა სამრეკლო კელესიად. 1800 წ. მოზდოკში მცხოვრები მქადაგებელი ზოგნი გადაყვანილ-იქმნენ ყიზილარის მონასტერში, ზოგნი მიეწერნენ მოზდოკის კრებულთ (სობორთს). აჩქიელის სახლი მოზდოკში უნდა გაყიდულიყო 16 ოკტომბერს 1799 წ. გამოცემულის სინოდის ბრძანების ძალით. ოსეთის სკოლის გამგეობა მიენდო ბლავოჩინს იანუ მათევიეკს, რომელსაც უნდა სკოლის მდგომარეობასკედ ანგარიში წარედგინა სოლმე ასტრახანის აჩქიელისთვის. უკანასკნელი განკარგულება მოზდოკის ეპარქიის გაუქმებასკედ და მისგან გამოწვეულის საქმეების შესახებ მოახდინა თვით ასტრახანის აჩქიეპისკოპოზმა პლატონმა, რომლის გამგეობის ქვეშე შევიდა ესლა მოზდოკის ეპარქია. აქედამ სწინს, თუ რა საჩქაროდ (1793—1799) მოიძალა როგორც ახლად გახსნილი მოზდოკის ეპარქია, ეგრეთვე ყველა გაიოზისაგან დადგენილი ახალი დაწესებულება. მოზდოკის ეპარქიის გაუქმების შემდეგ კავკასიის სამწყურს თითქმის ორმოცის წლის განმავლობაში არა ჰყოლია თავისი თვით - მდგომარე მწყემსთ - მთავარი. ამ დროს განმავლობაში ეს იყო მმართველობის ქვეშე პირველად ასტრახანისა, სოლო შემდეგ ნოვოჩერქასის მწყემს-მთავართა. (საქართვ. სას. მახარებელი, რუსული განყოფ. 1865 წ. აგვისტოს წიგნი.)

VI

გაიოზი სარატოვისა და პენზის, და ბოლოს ასტრახანის კათედრასკედ.

(1799—1819)

მღვდელ-მთავარი გაიოზი სარატოვისა და პენზის კა-

თედრიდამ გადმოეყვანილ-იქმნა ასტრასხანის კათედრასზედ, სადაც ამან დაჯყო 1818 წლამდის. მისი ცხოვრება, შრომა და გამგეობა ამ ორს ადგილზედ ჩვენ სრულებით არ ვიცით. მასსადაძე სრული თვრამეტი წელი მისის ცხოვრებისა ჯმეძე-მედებისა ჩვენთვის ზეწარ-გადაფარებულა. ამის შესახებ ცნობები უნდა მოინახოს აღნიშნული ეპარქიების არხივებში და თვით ეპარქიებში. ეს ისეთი გვამი იყო, რომ თავის სასულს უთუოდ დასტოვებდა აღნიშნულს ეპარქიის მცხოვრებთა შორის. ქართველთაგან კისაც, ჟამთა ვითარების გამო, შეხვდება აღნიშნულს ეპარქიებში ანუ გუბერნიებში ცხოვრება, უძებნელია, თუ მას თავის ქართველობა არ დაუვიწყია, აღნიშნულს ცნობებს მონახავს ნაჩვენებ არხივებში და თვით საღვსში ამაზედ გარდმონაცემს უფრო დაუგდებს და აღნიშნავს. იქნება ამ არხივებში და ეპარქიებში მისი ლიტერატურული შრომანიც გამოჩნდენ. ვისურვოთ, რომ ამისთანა მშრომელი გამოჩენილიყვნენ ქართველებში. ესენი ბერს ძვირ-ფასს მასლას შეჭკრივდენ რუსეთში ჩვენის ისტორიისთვის საჭიროს. უნდა შევნიშნოთ, რომ მეტრამეტე საუკუნეში და მეცხრამეტეშიაც ვინც კი შესანიშნავი გვამნი გვევანდენ ქართველებს, თითქმის მომეტებული ამათგანი, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, გაბნეულნი იყვნენ რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებში და ერთსა და იმავე საკანონოსაც ისდიდენ და თავის სამშობლოსაც იგლოვდენ. მოვიგონოთ ამ შემთხვევაში მეფე ვასტანგ სკულისმდებელთან გადასახლებულნი რუსეთად 1500 პირნი, რომელთაც მიიღეს სხვა-და-სხვა გუბერნიებში ყმა და მამული. მათნი შთამომავლნი მრავალნი არიან დღესაც რუსეთში, სადაც მათ შეეცვალათ თვისი ენა, მაგრამ თავის ვინაობა მაინც არ დაუვიწყიათ (მიმოსვლა იონასი გვ. 145). ამათ შემდეგ გავის-

სენოთ ანტონი მეორე, საქართველოს ქათალიკოზი, ბატონის შვილები, სამღვდელნი და საერონი, — და დაგრწმუნდებით; რომ ეველგან იპოვება ამათ შესასებ შრომის მასალა, რომელიც უნაყოფოდ არ ჩაივლის ჩვენის შთამომავლობისთვის. გაიოზი გარდაიცვალა ასტრახანში 1819 წ. (მიძღვრულა იონა რუისის მიტროპოლიტისა, დაბეჭდ. 1852 წ. გვ. 21. «დროება» 1877 წ. № 39.) და უნდა ვიფიქროთ, რომ იქვე დასაოგლავდა. მის საფლავზედ არის ნიშანი რამე, თუ არა ჩვენ არ ვიცით; ამასვე ცნობები ადგილობრივ უნდა მოინახოს და შეიკრიბოს.

VII

გაიოზის ნაწერები.

გაიოზმა სიკვდილის შემდეგ დაგვიტოვა სახსოვრად თავის ნაწერები როგორც საკუთარი თხზულებანი, ეგრეთვე თარგმანნი:

ა) საკუთარი თხზულებანი:

1) მცირე ქართული გრამმატიკა, დაბეჭდილი პოლიტავის გუბერნიის ქალაქ კრემენჩუგში. რომელიც მე ხელში მაქვს. ამ გრამმატიკას აკლია თავში ერთი ფურცელი და წელიწადი დაბეჭდისა არ უზის. კრემენჩუგში გაიოზი სცხოვრებდა, როგორც ზევით ვისილეთ 1783—1793, მაშასადამე ამის დაბეჭდვა უნდა ეკუთვნოდეს ამ დროს. ეს პირველი ნაწილი გრამმატიკისა (არ ვიცით თუ მეორე ნაწილიც არის) შესდგება 16 თავადგან. ჩემი წიგნი იწუობს მეორე გვერდიდამ

(პირველ თავს ქრთი იუერტკელი ყვლია) სადაც არის გაგრძელება ბა ხუტურის ანბანისა, რომლის შემდეგ იწოდება ქართული ანბანი და შესდგება 29 ასოდაჲ.

ასანი განიყოფებიან სამად: ხმოვანად, ორ-ხმოვანად და უხმოად. მარცვალნი, ლექსნი (მე, კსწერ), სიტყვა (სასარგებლო არს სწავლა).

5) ყოველნი ლექსნი, შემადგენელნი ქართულის ენისანი, განიყოფებიან რვათა ზედა სხეთა, ანუ ნაწილთა სიტყვისათა, რომელნიცა არიან: სახელი, ნაცვალ-სახელი, ზმნა, მიმღეობა, თანდებული, ზმნისზედა, კავშირი და შორისდებული. ამათგან პირველნი ოთხნი იწოდებიან შეცვალეებითად, სოლო დანაშეთენნი შეუცვალეებელად. ლექსთა აქვთ ა) სახე პირველსახეობითი (დღე) და წარმოებითი (დღიური) და ბ) ნაკვეთი — ა) მარტივი (პატივი) და რთული (პატივსადები).

3) სახელი არს ნაწილი სიტყვისა, რომლითაცა იწოდებიან ყოველნი პირნი ანუ ნივთნი, ეგრეთვე ვითარებანი მათნი და რავდებობანი.

სახელი განიყოფების სამად: არსებითად, ზედშესრულად და რიცხვითად. ა) არსებითი სახელი აღნიშნავს პირსა ანუ ნივთსა, და განიყოფების სამად: საკუთრებითად ანუ სათვითოდ (აღექსანდრე), საზოგადოდ (კაცი) და შემკრებელობითად (ტყე).

ბ) ზედშესრული სახელი აჩვენებს ვითარებასა პირისა ანუ ნივთისასა, და განიყოფების სამ საჩისსად: დადებითად, შეთანასწორებითად და აღმატებითად. სხლოო. ნათესავნი არსებითისა სასკელისანი არიან ოთხნი: მამრობითი (მამა), მდედრობითი (დედა), საშუალო (შვილი) და უმეშვეობითი ანუ უსულონი და გონებასა შინა წარმოდგენილნი (ცა, საქმე).

ხალხ ვითარცა ნათესაჲნი ესე აწსებითთა სასულთანნი იგულ-
ხმებიან მნიშვნელობითა დადენ მათითა, და აწა ვითარითაჲ
დაბოლოებითა ასოათთა; ეგრეთჲე ნათესაჲნიცა ზედშესრულთა
სასულთა; ნაცვალ-სასულთა და მიმღეობათანი იცნობებიან გან-
კუთხილებითა აწსებითთა სასულთადმი, და აწავითარითაჲ
ცვლილებითა დამბოლოებელთა ასოათთა.

გ) რიცხვითი სასული ჩვენებს რიცხვსა ანუ ჩაკდენობა-
სა შირისა ანუ ნოვითისასა, და განიყოფების რაოდ: რადენობ-
ბითად და წესებითად.

4) თვისებანი განკვეთილთა სასულთა: ა) რიცხვი—მხო-
ლოობითი და მრავლობითი, ბ) ბრუნვა—რვა: წრფელობითი
ანუ სასულობითი, ნათესაობითი, მიცემითი, შემასმენლობი-
თი, დაწყებითი, მოთხრობითი, მოქმედებითი და წოდებითი.
განკლედობა სასულთა აწს საწომი უკანასკნელთა მსოთა შეც-
ვლებისა თვითუფლს შინა ბრუნვას რთავე რიცხვთასა. გან-
კლედობანი სასულთანი აწიან რთხნი: შირველი განკლედობის
სიტყვათა დაბოლოებანი აწიან უხმონი.

მეორისა: —ა, ე, ვა, ვე;

მესამისა: —ი, ეი.

მეოთხისა: —ო, უ.

მაგალითი მესამე განკლედობისა.

რიცხვი მხოლ. რიც. მრავ.

წ. ნათელ — ი — ელნი

ხ. ნათელ — ისა — ელთა.

ძ. ნათელ — სს — ელთა

შ. ნათელ — ი — ელნი

დ. ნათელ — ისაგან. — ელთაგან

მ. ნათელ — მან — ელთა

მ. ნათლ — ითა — ელთამიერ.

წ. ნათ — ელა — ელნო.

5) წარმოებული სახელი არს იგი, რომელიცა წარმოს-
დგებისა ზნეულ სახეობითისა სახელისაგან, დამტებითა ანუ
შეცვალებითა მარცვალთათა შექსცვლის მნიშვნელობასაცა თვის-
სა, მაგ. კაცი, კაცები; ძეგვი, სამეგვი. წარმოებანი სახელთა-
ნი იქმნებიან სხვა-და-სხვა გვარად: მოკებითნი, ხათესაობით-
ნი, ქონებითნი, არსებითნი, მდებრობითნი, ხანშეყოფითნი,
ჭინობითნი, შედგომითნი, უღვჯითნი, უგუთქმითნი, შექ-
მსგავსებითნი.

6) ნაცვალ-სახელი არს ნაწილი სიტყვისა, რომელიცა
სიტყვათა შინა იხმარების ნაცვლად სახელისა, ანუ დაიდების
მისთანა.

ნაცვალ-სახელნი არიან ექვს-ნაირნი: არსებითი, ჩვენები-
თი, მოკებითი, კვლავობებითი, კითხვითი, განუსაზღვრე-
ბელნი.

7) ზმნა არს ნაწილი სიტყვისა, რომელიცა ზნეებს ძრ-
ფასა ანუ მოქმედებსა და ანუ ვნებსა: პირთა ანუ ნივთისა
დროთა ქვეშე.

ზმნა: განაწიერი და უგანაწი. მნიშვნელობისამებრ თვი-
სისა ზმნანი იქმნებიან: არსებითნი, შემოქმედებითნი, ვნებით-
ნი, უშეშვებითნი და საშუალონი.

8) მდევარნი ანუ გარემოებანი განკვეთილთა ზმნათა არიან
შვიდნი: ნაკვეთი, სახე, რიცხვი, პირი, დრო, სქესი და
უღვლილობა.

ა) ნაკვეთი ზმნის იქმნებო: მარტივი და რთული.

ბ) სახე ზმნისა არის სამი: ზარველსახე, სხმით გარდა-
სვლითი და მარჩობლსხმით გარდასვლითი: ვსწერ, ვაშენებ;

ვაშენებინებ, ვაწკრანებ, ვიწკრანები; ვაწკრინებინებ, ვიწკრინებინები.

ბ) რიცხვი: მხოლოდობითი, მრავლობითი.

დ) პირნი ზმნათანი არიან სამნი: პირველი, მეორე და მესამე. სხვლი: პირნაკლნიცა. ზმნანი იცნობებიან: სამკვარდავე: პირველისა გვარისა, მეორისა—და მესამისა.

ე) დრონი ზმნისანი არიან სამნი: აწმყო, ნამყო, მყო. ბალი. დრო ნამყო განიყოფება ოთხად: უსრულოად, სრულოად; უსრულოესად და უუსრულოესად. ამის გამო დრონი ზმნისანი იქმნებიან ექვსნი: აწმყო, ნამყო უსრული, ნამყო სრული, ნამყო უსრულესი, ნამყო უუსრულესი და მყობადრი.

ვ) სქესი ზმნისა იქმნების ოთხად: საზღვრებითი, ბრძანებითი, იპოტეტიკა, ე. ი. უკეთობითი (სათყო), და საწადი, და განუსაზღვრებელი.

უღვლილებანი ზმნისანი არიან ორნი: ზმნანი პირველისა, უღვლილებისა განპირვადებიან პირველსა შინა პირსა ასოითა: ვაშენებ, აშენებ, აშენებს; მეორისა უღვლილებისა ასოითა: მრწამს, გრწამს, ჭრწამს; მაქვს, გაქვს, აქვს.

მიმოხვრა ზმნათა (спряжение).

ზმნაზედვე არის საუბარა მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე თავში.

12) მიმდებარა არს ნაწილი სიტყვისა, რომელიცა ჭწარმობებს ზმნათაგან, და ხმარებულნი მსგავსად შედშესრულთა სახელთა, აღნიშნავს ძაქმედებასა ანუ ვნებასა. მიმდებარანი ზმნა საკით იქმნებიან: არსებითნი, შემოქმედებითნი, ვნებითნი, საშუალონი და აქვს სამნი დრონი.

13) თანდებული არს ნაწილი სიტყვისა, რომელიცა დაიდების სხვათა თანა ნაწილთა სიტყვისათა განყოფილად ანუ

შეერთებულად, და თვით მხოლოდ თავით თვისით არა იხმარების და არცაღა გულისმებულ იქმნების.

14) ზმნისზედა არს ნაწილი სიტყვისა, რომელიცა დაესხმის წინარე ზმნათა ანუ მიმღებობათა და ოდესმე სახელზემნათაცა. და ცხადჱყოფს ვითარებასა, ანუ სხვასასა. ზმნისზედანი მნიშვნელობისამებრ თვისისა იქმნებთან: ვითარებითნი, რაოდენობითნი, დროებითნი, ადგილობითნი, რიცხვითნი, წესებითნი, დამტკიცებითნი, უკუთქმითნი, ვითხვითნი, საიწვინობისა, მსწრაფლობითნი, ხშირობითნი, შემკრებლობითნი, ვანკუძობითნი, ჩვენებითნი, საწადნი, შემჩნობლებითნი, უთანამდებობითნი, ძეუდროებითნი.

15) კავშირი არს ნაწილი სიტყვისა, რომელითაცა შეერთდებიან ლექსნი ანუ სიტყვანი ურთი-ერთისათანა. კავშირნი მნიშვნელობისამებრ თვისისა არიან შემდგომნი: შეერთებითნი, განყოფილებითნი, უკეთუობითნი, მიშვებითნი, გარემიმდებობითნი, მიზეზობითნი, კიდურმდგომარეობითნი, განმარტებითნი, მეტრობითნი. კავშირნი განყოფილებიან კვლად წინამძვალობითად და შედგომილებითად.

16) შორისდებული არს ნაწილი სიტყვისა, რომელიცა აღნიშნავს სხვა-დასხვანთ მამრეობათა სულიერისა ვნებისათა. შორისდებული მნიშვნელობისამებრ თვისისა იქმნებთან: განკვირვებითნი, საფლობითნი, შეურაცხებითნი, ვიცხვებითნი, იდუმალობითნი, რისხვითნი, წოდებითნი, ნატვრითნი, ხეტარეკაშა, და სხვანი. დასასრული პირველისა ნაწილისა.

2) საქართველოს ისტორია. მე ეს წიგნი არ შემხვედრის ქართულ ნაწერებს: წიგნთა-სიებში.

3) წინა-სიტყვაობა: ქათალიგორს ანტონი დედის აწყოობილ-სიტყვაობისა ანუ-ტაქოვანი ლექსებით (წყოობილ-სიტყვა

გვ. XX—XXV) და შინაქს-სიტყვაობა. ღვთის-მეტყველების ალფაბეტსა ზედა ქმნილი. ეს უკანასკნელი არის ჩართული ქართლიანთა ღვთისმეტყველების მეოთხე ნაწილის ბოლოს. ეს ღვთის-მეტყველება და მისი ბოლოში შინაქს-სიტყვაობა მინასას პეტერბურგში ბ. დავით ასეს მისი ჩუბინოვის წიგნთ-საცავში.

4) ქადაგებანი, რომელთა რიცხვში უნდა ჩათვალდნენ თელავის სემინარიის გახსნის დროს წარმოთქმულნი მის მიერ შესხმანი და ქადაგებანი ზამთ გარდა ჩვენ სხვა ქადაგებანი გაიფიქრისა არსად შეგხვედრია.

ბ) თარგმანნი: 5) «მიმოხელა» ბარონ-დე-პოლცინისა, აღწერილი ისტორიულის და გეოგრაფიულის გვართ, ტომი შირველი, თარგმნილი რუსულთა ქართულსა ენასა ზედა არხიდაეონის გაიფიქრ მიერ, მოსკოვსა, 1776 წელსა, 25 ივლისს. მთარგმნელი უძღვნის ამ წიგნს: მისს უკანათლებულსს მეფის ვახტანგის ძეს გიორგის ღებურაღ ანშეფსს. ამის წინასიტყვაობაში გაიფიქრი სსკვათა შორის სწერს: «არ არს ესრეთ ტკბილი, ვითარცა სიყვარული მამულისა, ესრეთ მსახურება, ვითარცა უფალთა.»

6) წმიდისა მამისა ჩვენისა ამბროსი მედიოლანელ ეპისკოპოსისა მიცვალებებისათვის ძმისა მისისა სატირიასა, რწმე წიგნი. შირველ წიგნს აწერია თავზედ: «სახელითა მამისათა... ვიწვე 1789 წ. ივლისის 30, კრემენჩუგს, გაიფიქრ.» ბოლოში აწერს: «დიდება შენდა მიძებულა ყოველთა, უფალა! სრულ ვეჟ 1789 წ. აგვისტოს 1-ს, კრემენჩუგს, გაიფიქრ.» ეს სიტყვა შესდგება 37 ნახევარ-თაბახიან თურქულთაგან: მეორე წიგნს აწერია: «სახელითა მამისათა... ვიწვე 1789 წ. ივლისის 21, კრემენჩუგს.» ამის ერთი თურქული აკლია ბოლოში და ამის-

ოგის არა სჩანს, ვთუ როდის გაუთავებია. შესდგება 46 ნასუკარ თაბასიან ფურცელთაგან.

7) წმიდისა მამისა ჩუენისა ამბროსი მედიოლანის ეპისკოპოსისა სიტყვა მიცეჴლებასა ზედა თეოდოსი დიდისა. შესდგება 25 ნასუკართაბასიან ფურცელთაგან, ამას თავზედ აწერია ჩუეულებისამებრ: «სახელითა მამისათა... ვიწუე 1789 ივლისის 14, კრემენჩუკს, გაიოს.» ბოლოში: «სრულ გუაჴ 1789 წ. ივლისის 15, კრემენჩუკს, გაიოს.» ეს ხელთ-ნაწერი იწყობა 63 გვერდიდამ. თავი დაკარგულა.

8) სამღვდელთა ისტორია. თავზედ აწერია: «ვიწუე 1799 წ. თებერვლის 28, გაიოს. მარზდუკს.» ამ ისტორიისა კრთი ფურცელია გადაწრომილი, სხვა კი დაკარგულა. ეს ყოფილა დაყოფილი ჰარაგრაძებად, იწყობა სოფლის შექმნიდამ. პირველ ფურცელში არის § 6. მოკვიყვანთ ნიმუშად § 1 აღმერთმან შექმნა სოფელი ესე არა რაიმესაგან სიტყვითა თვისითა, დიდებად სახელისა თვისისა და ცხად-ყოფად ქმნილთა სასიერებისა თვისისათა, ექვსსა შინა დღესა. პირველსა დღესა — ცაი და ქვეყანა და მერმე ნათელი. მეორესა — სამყარო. მესამესა დღესა განჩუეო და განაშორა წყალი მიწისაგან, და უბრძანა მიწასა აღმოცენებად მცენარეთა. მეოთხესა დღესა — მზე, მთოვარე და ვარსკვლავნი. მესუთესა — მფრინველნი ცისანი და თევზნი სღვისანი. ხოლო მეექვსესა დღესა — ცხოველნი ქვეყანისანი, და კაცი ხატად და მსგავსად თვისად, და მეშვიდესა დღესა განისვენა ყოველთაგან საქმეთა. კაცი უკვე შექმნა ღმერთმან, ხორცისა მოძღებულმან მიწისაგან, და სულისა ხატად და მსგავსად თვისად და მზადებულმან, რომელმანცა სცნას შემოქმედი თვისი, შეიყვაროს იგი ყოველითა გულითა და ყოველითა სულითა, ღ ცოლი გვერდისაგან კაცისა დამნიშვნელ-

მან. კვლავ ორნივე ერთ-ხარტ აჩიან. კაცს სახელ-სდგა ადამ და დედაკაცსა კვა, და დაამკვიდრნა ივინი სამოთხეს საშვე ბელისასა უკვდავებით.

როგორც ამბობს მედიკანელის სიტყვანი, ეგრეთვე სამკვდელო ისტორია აჩის თვით გაიზის ხელთ ნაწერი. ესენი ეკუთვნის ბლ. მღვდელს მიხეილ სელაევს. ამას ესენი უნახავს ერთს თელავის მებაყლის დუქანში, რომელსაც ამ ნაწერის ფურცელში გამოუხვევინა ყველის ნაჭერი და მიუცია მსუიდეკლისთვის. მღვდელს ხელაევს გადუსინჯავს ეს დიდო რვეული ხელთ-ნაწერისა და როდესაც გაიზის სახელი ამოუგითხია, მაშინათვე უთხრენია ამ ნაწერის დათმობა მედუქნისთვის, რომელსაც აუსრულებია ამის თხრენა. მედუქნეს უთქვამს, სხვათა შორის, რომ ეს ნაწერი იმასთან მიუტანია სანალომონ ფინანსების შვილს, მყოფს (ესლა მიცვალებული) თელავის სობორის ბლადოჩინ დეკანოზად. როდესაც მღვდელმა, დეკანოზ-ბლადოჩინმა არ იცის უადრი ამისთანა ნაწერისა, სხვა რაღა უკავამტუნეთ. მაგრამ ეს ბლადოჩინ-დეკანოზი იმისთანა კაცთა წუებას ეკუთვნოდა, რომელიც სდევნის ყოველს ქართულს, ოღონდ კი ამით რუსების წინ ერთგულად გამორჩება.

9) სამღვდელო რელიგიონტი.

10) პეტრე დიდის ისტორია შობიდან სიკვდილამდე.

11) ეგვიპტის ისტორია, დიოდორისა.

12) კვირისის ისტორია, სპარსეთის მეფისა.

13) ძველთა სამეფოთა ისტორია.

14) სამხედრო არტიკული პეტრე დიდის.

15) ევროპიულ ქალაქთა ლექსიკონი.

16) სამკვარცხანო (დოკუმენტი) გეოგრაფიის.

17) ღვთის-მეტყველება, მოსკოვის არქივის პლატონისა.

- 18) მარკ-წერეთლის
- 19) კელიზარი, ჰეტეროურგის სამეცნიერო-კვლევითი წიგნთ-საცავში, ქართულ განყოფილებაში კატალოგი № 204.
- 10) სამეურ ტომარი, აღაპიტის დიპლომის წიგნში, იქვე № 205.
- 21) კიტარის სიბრძნე, იქვე № 217.
- 22) განმარტება იგავთა სოლომონისათა.
- 23) კასძლი დიდის კპისტოლეონი.
(გიორგი მეთვის ცხოვრება, შ. თ. კვ. 157.)
- 24) სარწმუნოების გითხვა-მიტება.
- 25) გონების ჭაზრი.
- 26) ურმათ სასწავლო ჭაზრი.

ყველა ზემოთხსენებული წიგნები არის მოხსენებული გაიოზის ნაწერებად ანუ თარგმნად (რუსულიდან აქვს ნათარგმნი) ძველს წიგნთა საეპოში (კატალოგებში). ზოგს ამათგანს იხსენიებს ანუ ასახელებს გაიოზის ნაწერებად პლ. ალსელაინი (Кратк. истор. груз. церкви, стр. 135). ამის სინამდვილე, რასაკვირველია, მამინ შეიტუობა, როდესაც გადისინჯება თვით აღნიშნული ნაწერები, რადგან, როგორც ვიცით სხვა ძველის წერილების გადასინჯვით, თითქმის ყველა ნაწერზედ არის მოხსენებული არა მხოლოდ მთხველის ანუ მთარგმნელის სახელი, არამედ ხშირად თვით გადამწერისაც და ხან მიზეზიც გადაწერისა. ამასთანავე ისიც უნდა შევნიშნათ, რომ უფრო ვრცელის ცნობებით შეიძლება შეგვეხსოვოს ეს გაიოზის ცხოვრების მიმოხილვა, მაგრამ ის მასალები, რომელიც ჩვენ ამითვის დაგვჭირდა, ისე არიან გაფანტულნი სხვა-დასხვა წერილებში და ადგილებში, რომ მათი შეკრება ერთის კაცისაგან

ყოველად შეუძლებელი საქმეა და მას შეიძლება მხოლოდ რადიკალიკ გვაძინი ცოდნით, ხალისით, თანხმობით, შრომით და შეძლებით აღჭურვილნი, ვისურვოთ ამ ყადა, რომ ამისთანა მშრომელნი გამკაცლდენ ჩვენს საზოგადოებაში სამშობლოს წარსულის აღსადგენად და მისი მომავლის ბედის მტკიცედ დასაფუძნებლად. ბოლოს უმოწილესად ვსთხოვთ პატრიუტულ მკითხველებს, თუ რომ მათ აქვსთ ან ნაწილები გაიზინა, ან იცინა შემთხვევანი მისის ცხოვრებლად, ყოველივე ესენი, უკეთუ ისურვებენ, ჩვენ გადმოგვცენ (ადრესი: Телавъ, Въ Духовное Училище), რომელსაც დიდის მადლობით მივიღებთ და რაც გადმოცემული წერილი ანუ წიგნი იქნება, ყოველსავე თავის დროზედ და ყოველის უნაყოფოდ დაუბრუნებთ პატრონს.

ნ. მთვარელიშვილი.

10 დეკემბერს, 1880 წ.

ქ. თელავი.

ახალი წიგნები.

საფხული, ყრმათათვის, საკითხავი წიგნი. წყარო № 3 და 4.
ანბ. უსულელის რედაქციით გამოცემული. თბილისი, 1881.

პატარაობაში ყველას წავითხუელი გვექნება მტერი, მოთხრობა—წელიწადის ოთხი დრო, რომელშიც ნაქებია სათნოთაოდ გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი. ეს-ღა ჩვენს პატარა ბავშვებს ამ პატარა მოთხრობის მაგივრად ექნებათ ოთხი წიგნი, რომელთაც წელიწადის დროთა სახელები ჰქვიათ, საზოგადო მათი სახელი არის წყარო, ზამთარ-ზაფხულ უშრობელი. ორს წიგნზედ ჩვენს უუნაროში კიდევაც მოველანარაკეთ მკითხველებს; ესღა მოგვივიდა მესამე წიგნიც: «ზაფხული» და იმედია რომ ეს სამი ძმა ობლად არ დაჩხიბიან და მეოთხეც მალე დაებადებთ.

ამ წიგნების სულის ჩამდგმელი არის თ. რაფ. ერისთვისა ლექსები. უოკელს წიგნში იპოვით იმისთანა ლექსს, რომელიც აღწერს იმ შექცევას ანუ მუშაობას, რაც აღნიშნულს დროს შეეუფლება. პირველს წიგნებშიც თუშტა კარგი ლექსები იყო: «ზამთარი» და «ზაფხული», მაგრამ სიცხოველით, გამომხატველობით და ენის სიმარტივით კერძო ერთი მათგანი ვერ შეედრება ამ წიგნში დაბეჭდილს «ზაფხულს.» ამ პატარა ლექსში არის აღწერილი ზაფხულის რძი უმთავრესი საქმე: მკა და ლექს და ძნელია წარმოდგინდეთ, თუ კარ წავიკითხავთ, რა:

გორ უოკელივე წინადადება ამ ლექსში ბავშვის გონებაზედ არის გამოჭრილი, როგორ უოკელივე მათგანი სახავს რომელსამე მუშაობას და მოაგონებს ბავშვს ნამგლის ტრიალს, მუშის გუგუნს, ჭომაუნს, კერზედ ჯდომას და როგორ დეზად არის თქმული ლექსის ბოლოს:

«ქალი, კაცი, გოგო, ბიჭი ეზიდება ზამთრის სარჩოს...

— ვაშა, ვაშა, მუშა ხალხსა! ღმერთმომამა გაუმარდოს!...»

მეორე ლექსი იმავე ავტორის «ქუჩისალი» ჯამაში სხვა ბავშვო ლექსია, მაგრამ ბოლოში ცოტა ნამდაღვევი. დიდს მკითხველზედ მეტად ცუდი მთაბეჭდილება აქვს ხოლმე ლექსს, როდესაც მას უტყობა ნამდაღვობა და რითმის გულისთვის უღაგო სიტყვის ხმატობა და ვგონებთ, რომ ბავშვებზედაც ასე უნდა იმოქმედოს და თუნდა ასედაც არ იმოქმედოს, ამ გვარი ნამდაღვევად შეთხზული ლექსი შეაჩვენებს მას ხელმოწერილად და არა ხელმოწერილად წერას.

არის ამ წიგნში ორიოდე სხვა ლექსიც, რომელში მოქცეულნი არიან ბ. რომანიძისას. «ყმაწვილის სტრუქტურა» უტყობა ნიჭი, მაგრამ ავტორს სრულებით არა სცოდნია ლექსთა-თხზულების წესი, თორემ ამ გვარს უმხარ სტრუქტურებით არ დაიწყებდა თავის ლექსს:

«რად გაჩუმიდი გენაცვალე,

რა დაგემართა?

რად დაღონდი, ჩემო გვრიტო,

მოდი ჩემთანა.»

ამ გვარი დასწყისი ხშირად მკითხველს ხალხის უკან-გავს და ბევრი ამ სტრუქტურებს არ ჩასცილდება; არ ჩასცილდება, მაგრამ შეიძლება ინანოს კიდეც. ამ ლექსს უტყობა

გრძნობის ნიშან-წყალი და ზოგიერთი სტრუქტურები სწორედ სელაგნურად არის დაწყებული.

ამ წიგნში ნათარგმნ მოთხრობებს გაუმარჯვენათ ორნი-გინაღურებსედ. ზვიგოს ყანა ათუმიცა რუსულიად გამოდებულა, მაგრამ ცოტა ქართულობაც ეტყობა; მთარგმნელს კოლეგის თუ დონის მაგიერად მოთხრობაში არაგვი ჩაუგებებია და ხშირად მთებისაგან ხანის მოცემა საქმეს გვიტყობს; ალბად ამითიც მთარგმნელს უნდოდა უფრო ქართული ხასიათი დასტეობოდა მოთხრობას, რადგან რუსეთში მთები ძალიან ცოტაა, მაგრამ ეს სადღაური-ღა ქართულია: გრუნიათი ჩიტების კულაზინი და ასე.

შინაჩსი რომ გამოგვცეთ ამ მოთხრობისა, ბევრს გეჩას შეიტყობთ მის დიხსებას; ბავშვი ყანის ხელო თამაშობდა, მერე ყანაში შევიდა, გზა დაეხრა და შიმშილით მოკვდა; რამდენსაჲ დღის შემდეგ იზოგეს მოძველებმა მკვდარი ბავშვი შინაჩსი მართალია უბრალოა, მაგრამ საქმე ეს არის, როგორ გამოუყენებია ავტორს ეს მცირე მასალა. გამოუყენებია ისე რომ ბავშვი ვიდრე არ ჩათავებს მოთხრობას, თავს არ დაანებებს. ავტორი სწორედ ბავშვის კანში ჩამჯდარა და ისე უამბნია, რა ტანჯვა და ოცნებები უნდა გამოეყარა უსუსურს ბავშუს, რომელიც ისე მცირეა, რომ ყანამაც კი თავით იყოსამდე დამალა რამდენსაჲ დღეს.

გამოჩენილის არაკების მთქმელ ანდერსენის მოთხრობა «ჩიტი და ტუსალი» სწორედ შეჭფერის ავტორის ნიჭიერებას. შინაჩსი აქაც უბრალოა; ტუსალი კითხვას სხვა-და-სხვა ფრინველებს უმღერონ რაჲ და შეწუხებულის გულიადამ სევდა გადაუყარონ; ყველას თავისი საქმე აქვს; მხოლოდ ბუღბუღი შემოჯდება და უამბობს ტუსალს... რას?... იმას, რაც ყოვე-

ლექსნი თხზულება მ. ყორღანოვისა, თბილისი, 1881 წ.

დალოცვილია ქართული ეს, რომ რითში ძალიან ადვილად ეწეობს. მაგრამ ხან დაწვეკნისა, რადგან ეს რითის შეწყობის საადვილე აბედინებს ყორღანოვებისთანა მკვლახელებს მთელის ტომების გამოცემას.

ამგვიწერთ «დროს გასატარებლად» ერთს ნამუსს ბ. ყორღანოვის ლექსებისას სრულად:

«დროს გატარება»
ბუნებარზედ გავიარე
ერთსა დღესა წვიმაში,
მარცოდ-მარცო ვიარე
განვეული შუბაში
—
მარამ არ ვიყავ მარცო
ორსავე მხრივა სანლები,
უკან მომდევდა კინცო
და ხუთიოდ ძალები!

აი კიდევ მეორე ლექსი: «გახდენდება ჩემს უძილოდ სი-
ზმონსა», მაგრამ ლექსს ალბ ამოგწერ, სათაურიცა კმარა.

მართალია ლექსები არა ბრწყინავენ მშვენიერებით, მაგრამ ეს მიეტყუება იმისთანა თავ-მდაბლს აკტორს, რომელიც აწის მ. ყორღანოვი, რომელიც თავის ლექსთა-გრებაში სსვე-
ბის შესახებ ბეჭდავს და თავის შესახებ-შესახებ, სადაც ხან ერთი ეძინის, ხან მეორე ერთმანერთს «ყაღამ-აყრუალებულს.»
მ. ყორღანოვი ისეთი თავ-მდაბლი ყოფილა, რომ თითონვე ამბობს თავის თავსად:

«მე არა ვარ ფილოსოფი, რომ ხალხს (გ)ეძღვნა დარიგება,
და არცა მაქვს ის აღმოთქმა, ენას მივსცე მშვენიერება,
მაშ მე არა (რა) ვარ! არაფერი....»

მაშ რაღას გვაწუხებდით აძღენი ხანი ბ. ყოღღანოვო?

დაბადების საზოგადოების გამოცემანი, შვიდი პატარა
რეული.

უცხო-ქვეყნელებისათვის ძნელია დაეხმარონ ჩვენს ლიტერატურას, რაც უნდა სურვილი წმინდა ჭქონდეთ: არ გვიცნობენ და არ ვიცნობთ და რა გასაკვირველია, რომ იმისთან: წიგნები შეგვიდგინონ, რომელთაც მივწერიდმანეები თუ იყო დიან უველის გასახვევად. ვიდრე დაბადების საზოგადოება მშვენივრად გვიბეჭდავს სხვა-და-სხვა სასულიერო წიგნებს და იაფად ჭეიდის მათ, იგი მადლობის ღირსია ჩვენგან, მაგრამ როდესაც თავის ან თავის აგენტების საწარმოებსა ბეჭდავს, მაშინ, უკაცრავად ნუ ვიქნებით, კერაფერს მადლობას ვიტყვი, რადგან საგანი მადლობისა არა გვაქვს. ახა თქვენი ჭირიმეთ რომელი ქრისტიანი წაიკითხავს «სასისხარულს ამბავს», «ობლის წერილს მაცხოვრთან», «რა არის ქრისტიანს», «საქორწინე ტანთსაცმელს» და სხვა ამისთანა ოთხგორშინ «საქონელს», გარდა გადაურუებულ ბებრებისა და თქვენი უძორჩილესის მონის უბადრუკის რეცენზენტისა, მაგრამ... მაგრამ... გავიტყუდებით, ეს დაბადების საზოგადოების ნაღვაწი თაკვიდამ ბოლომდე არც მე წამიკითხავს.

ნ 383

1881

ხელის - მოწერა «დროება-ივერიის» მიიღება:

თბილისში, «დროება-ივერიის» რედაქციაში, (გადავინის ზრისპეტუხედ, თ. ივ. კ. მუხრანსკის სასლებში, კლუბის ქვე-
მოდ).

ქუთაისში: «დროება-ივერიის» აგენტთან ი. ჭონიასთან.
(სიღასუხედ, შირიან ჭონიას სასლში.)

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ უუწნაღ-გაზეთი ამ ადრესით
უნდა დაიბარონ:

Въ Тифлисъ. Въ Редакцію Дროэба-Иверіи.

ფასი:

«ივერია» ექვსის თვით («დროებასთან» ერთად) —	8 მან.
«ივერია» ექვსის თვით ცალკე — — — — —	4 მან.
«ივერია» ერთის წლით — — — — —	7 მან.

ხელის-მომწერთ იველი უუწნაღ-გაზეთის დაბარებისათ-
ნაკე უნდა გამოგზავნონ რედაქციაში.

ვისაც უუწნაღი თავის დროსუდ არ მიუვიდეს, უმორ-
ჩილესად ვთხოვთ მალე გვაცნობოს რედაქციაში.